ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ — ᲙᲕᲘᲠᲐ, 7 ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲔ 1919 Წ. № 193 — ᲤᲐᲡᲘ 3 ᲛᲐᲜ.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 180 მან. თვეში მხოლოდ ქალაქში 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოეული 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 15—73

ᲙᲘᲜᲝ-ᲗᲔᲐᲢᲠᲘ. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞ. № 21.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲐᲜᲡᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲡᲐᲦ. 6 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

დღეს 7 ენკენისთვეს ნაჩვენები იქნება კინო-პრემიერი პროტაზანოვის ახალი დადგმით

ᲨᲐᲕᲘ ᲮᲠᲝᲕᲐ

ᲓᲠᲐᲛᲐ 5 ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓ

უმთავრეს როლებში ᲛᲝᲥᲣᲮᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲡᲔᲜᲙᲝ

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი ვასასი დავითის ასული და ლადო ილიასძე, თინა, ნატაშა და კოლა ტატიშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ პირველთა ერთად ერთი უსაყვარლესი ასულის, მეორისა შვილის შვილის და მესამის წმისწულის პატარა

ᲘᲠᲐᲡ

უდროოდ გარდაცვალებას, ქალაქ სოხუმში. ცხედარს მოასვენებენ ზესტაფონში ამა წლის 6 ენკენისთვეს, დღეს შაბათ საღამოს ხოლო აქედან კვირას, 7 ენკენისთვეს დილით წასვენება და დაკრძალვა სოფ. საქარის მაცხოვრის ეკლესიაზე. 1—2629—1

ბაბუა დავით გიორგის ძე, ბებია მარიამ გიორგის ასული, ცუცუნა თავის შვილებით, ბიძები ვანო და ლადიკო თავისი ცოლშვილით, პავლე და გრიგოლ საყვარელიძეები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათი საყვარელი პატარა

ᲘᲠᲐ ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ

უდროოდ გარდაცვალებას სოხუმში. ცხედარს მოასვენებენ ზესტაფონში, შაბათს, 6 ენკენისთვეს, საღამოთი. აქედან წასვენება, წირვა პანაშვიდი და დაკრძალვა—კვირას, 7 ენკენისთვეს სოფ. საქარის მაცხოვრის ეკლესიაში. 1—2629 1

ივანე, გიორგი და მიხეილ ნიკოლოზის ძენი კვეზერელი-კოპაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 8 ენკენისთვეს ძველ მანგლისის სიონის ტაძარში გადახდილ იქმნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი კნეინა

ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲐᲡᲣᲚ
ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

სულის მოსახსენებლად. 1—2629—1

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ (ᲟᲝᲠᲟ) ᲦᲕᲐᲛᲘᲩᲐᲕᲐᲡ

დამწუხრებული მშობლები მადლობას სწირავენ მეგობრებს, ნაცნობთ და თვისი შვილის ამხანაგებს, რომელთაც თვისი ღრმა თანაგრძნობით პატივი სცეს განსვენებულის [illegible]! 1—2631 1

შტაბს-კაპიტანი ლეონტი ჩოჩუა და პორუჩიკი გრიგოლ რუსაძე მით აუწყებენ ნაცნობ ოფიცრებს და ნათესავებს, რომ ქუთაისში გარდაიცვალა პორუჩიკი და დაუვიწყარი ამხანაგი

ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘ (ᲒᲠᲘᲨᲐ) ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ [illegible]

რომლის დაკრძალვა მოხდება ქუთაისში საკუთარი სახლიდან მთავარ ანგელოზის ეკლესიაში. 1—2632—1

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

11 ენკენისთვე 1919 წ. დილის 10 საათ.
ქ. თბილისი, რუსთაველის პრ. № 6 (თბილისის მაზრის ერობის ბინა).

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ

ა) ბიუროს მოქმედების ანგარიში; ბ) ერობების მდგომარეობა (ადგილებიდან); გ) ერობათა ცენტრის ორგანიზაცია; დ) საერობო დებულებანი: ცენტრის, მაზრის და თემის ერობათა; ე) ერობების ფინანსიური მდგომარეობა; ვ) ადმინისტრაცია; ზ) მიმდინარე საკითხები. 2—174—2

ᲕᲐᲜᲝ ᲑᲔᲠᲫᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ

მუშაობა განაახლა. ვიღებ ყოველნაირ შეკვეთას სრული პასუხისმგებლობით.
წყნეთის ქუჩა, № 28.
ვანო ბერძნიშვილი.

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲮ. „ᲢᲕᲘᲢ“

განყოფილება თბილისში, სოლოლაკის ქ. № 4. ტელეფონი № 4—16. მთავარი გამგეობა და კანტორა ბათუმში, მიხეილის ქ. № 1: ტელეფონი № 2—46. დეპეშით: „ტვიტ“.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ ᲰᲧᲘᲓᲘᲡ:

1) შვედურ წუმწუმას
2) შაქრის ფხვნილს
3) ზეთს
4) საგალანტერიო საქონელს
5) მანუფაქტურას
6) ძაფს (400 იარდი; სხვა და სხვა ფერი; აბრეშუმის და საქსოვი)
7) ამერიკულ ფეხსაცმელი.
8) საზღვარგარეთის პარფიუმერია
9) მატერიის და ქილის ქუდები
10) ფრანგული „Bourgeois“ საპონი და „java“-ს პუდრი
11) საშველი და რეზინები
12) სხვა და სხვა გვარი ცხვირსახოცები.
13) ლიონის დარაიები.

მიღებულია ინგლისური ჩაი ნ. ბ. და 1/4 გირვანქიანები. ამხანაგობა წარმომადგენელია იტალიური სავაჭრო სინდიკატის „საგო“-ს კინემატოგრაფიულ განყოფილებისა. აქვე გირავდება და იყიდება კინემატოგრაფიული არშიები. 3—2

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲒᲝᲑᲐ

თამბაქოს ქარხნის
„შვიდი მნათობის“
ხიზანიშვილის ქუჩა, № 22.
თბილისი

ᲕᲐᲭᲐᲠ-ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ
იწვევს ვაჭრების, მრეწველთა და ხელოსანთა

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲐᲡ

კვირას, ენკენისთვის 7-ს დღის 12 საათზე ხელოსანთა [illegible] დარბაზში (მიხ. პრ. № 76)

დღის წესრიგი:
1. სამრეწველო და სავაჭრო გადასახადი.
2 ოფიციალური საკითხები.

2 1008 2

ყიდულობს, ჰყიდის იღებს ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ საკომისიოდ პროცენტებით და უპროცენტოდ [illegible] ანსად მიღებულ საგნებში შემფასებელთ

თბილისში პირველი ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ საკომისიო მაღაზია — მიხეილის პრ. № 142 კინო-პალასის პირდაპირ.

ნივთების მოტანა და შეფასება სრულიად უსასყიდლოდ. საჭირო, ტანისამოსი, ფეხსაცმელები ფარდეულობა ჩულქები [illegible] ხალიჩები ავეჯეულობა. ძვირფასი საგნები. ჩვენი დევიზი: ნდობის დამსახურება ჩვენს კლიენტებში.

მოითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფად ჯდება, იწვება ყოველგვარ ქვემო სახურავიან ჰერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო პლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამჭედლოებისათვის საგანგებოდ დამზადებული ნახშირი და დიდ ძალი კირი, საუკეთესო ხარისხის და ხელმისაწვდომ ფასებში. წყობები გვაქვს ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, თბილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ წვრილად. ყოველგვარ ცნობებს და შეკითხვას მისამართი: თბილისში, გრიბოედოვის ქ. № 6, ტელ. № 11—45.
„ტყიბულის ქვა-ნახშირის გამსაღებელი მთავარი სააგენტო“.
15—1002—12.

ᲙᲘᲜᲔᲛᲝ-ᲛᲘᲜᲘᲝᲜᲘ

რუსთაველის და ბარიათინსკის ქ. კუთხე.

ჩვენს ეკრანზე უკანასკნელად მაქსიმოვი და პრეობრაჟენსკი ვერბიცკის რომანში:

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲦᲔᲑᲘ

6 დიდ აქტად. დასაწყისი საღ. 6 საათზე.

7 ენკენისთვიდან

სიკვდილი უბახის

სვობოდას, რინდინის და გრომოვის მონაწილეობით.
დასასრულ კომიკური.
პირველ სეანსის დასაწყ. საღ. 6 ნახ. საათზე.

ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲞᲘᲡ ᲚᲔᲒᲐᲢᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

პოლიტიკურ და სოციალურ კატაკლიზმის ხანაში რომის პაპის მსოფლიო მნიშვნელობა და გავლენა ურყევი დარჩა. ამ დებულების მტკიცება საერთოდ და კატეგორიულად თუ მაინც და მაინც შეუძლებელია, ყოველივე ეჭვს გარეშეა ის ფაქტი, რომ ორტოდოქსალურ კათოლიციზმში, რომელიც ათეულ მილიონობით ითვლის წევრებს, ქრისტეს მოადგილე კვლავინდებურ შარავანდედით გაბრწყინვებულია და მართლმორწმუნე კათოლიკე ჩვეული სასოებითა და მოკრძალებით ეტრფის ვატიკანის ძველისძველ კედლებს.

რყევისა და ნგრევის შემდგომ აწეწილი ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩასადგომად იწევს. შეჩერებული, თუ [illegible] აპარატი მოქმედებას იწყებს, ყოველი საგანი თავის კანონიერ ადგილის დაჭერას ცდილობს.

ამ დროს კათოლიკეთა ეკლესია უმოქმედობას ვერ გამოიჩენდა. ვატიკანი დიდათ აღელვებული იყო თავის ნაცად სამწყსოში ანარქო-ათეისტურ მიდრეკილების გაღვივებით და განსაკვირველია ის გარემოება, რომ ხელშემწყობ პირობების დამყარების დროს რომის პაპის ლეგატები მიეშურებიან კათოლიციზმის გავლენის ყველა კუთხეში სამოციქულო ტახტის განსამტკიცებლად.

ორი მიზნით ეწვია ჩვენს სამშობლოს უწმიდესი პაპის სამოციქულო ლეგატი საგანგებო ვიზიტატორი ანტონიო დოლჩი. აღდგენილ სახელმწიფოებრიობის მოსალოცად პაპის სახელით და ქართველ-კათოლიკეთა მდგომარეობის ადგილობრივ შესასწავლად და გამოსარკვევად. თუ მივიღებთ მხედველობაში რომის პაპის უფლებებს და მის კომპეტენციას საერთაშორისო საქმეებში, ადვილი გასაგებია, როგორი პოლიტიკური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კათოლიკეთა ეკლესიის მამად-მთავრის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას! ვატიკანის ლეგატმა აუწყო საქართველოს მთავრობას რომის პაპის დიდი სიამოვნება ქრისტიანულ კულტურის მატარებელი ივერიის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განახლების გამო. უხსოვარ დროის ურთიერთობა იტალიასა და საქართველოს შორის კვლავაც გაგრძობილი იქნება და სწამს პაპს ბენედიქტუს, მეხუთმეტეს, რომ კავშირი ამ ორ სახელმწიფოთა შორის უფრო მჭიდრო და მეგობრულ შეიქმნება.

რომის პაპის ყურადღებას იმ თავითვე იპყრობდა ქართველ კათოლიკეთა მეტის-მეტად არა ნორმალური მდგომარეობა ტიპიკონის საკითხის მოუგვარებლობის გამო. ტიპიკონის საკითხი ქართველ საზოგადოებასაც აინტერესებდა და ეროვნულ ნიადაგზე მომუშავენი დიდი ხანია ჰგრძნობენ ამ საგნის დამაბრკოლებელ თვისებებს ნაციონალურ სწავლა-აღზრდის სფეროში უმეტესად. თვით ქართველი კათოლიკეთა აღშფოთებას საზღვარი არა აქვს ტიპიკონის საკითხის ესოდენ ხნის მოუწესრიგებლობით, მაგრამ გარდუვალ მიზეზთა გამო იძულებული იყვნენ ეკლესიაში ძველი მახინჯი წესები დაეტოვებინათ. კათოლიკეთა ერთგული მეგობრების მხნე მოღვაწეობამ წინა წლებში ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი და მხოლოდ სულ უკანასკნელ დროს შესაძლებელი გახდა სპეციალური განხილვა ამ საყურადღებო მოვლენისა აქაც და რომშიც—სპეციალურ დელეგაციის მოწყობით. რესპუბლიკის მთავრობამ გაიზიარა კათოლიკეთა უნუგეშოდ შევიწროებული საეკლესიო ცხოვრება და მატერიალად დახმარება შეაწია სათანადოთ მომუშავე დაწესებულებებსა და პირებს. უწმინდესი პაპის ლეგატის დანიშნულებას, სხვათა შორის, შეადგენს ტიპიკონის საკითხის რადიკალურად გადაჭრა და ამნაირად მორწმუნე—კათოლიკების შებღალული უფლებანი, უნდა ვიფიქროთ, სულ მცირე ხანში კმასაყოფილად აღდგენილი იქნება. გარდა ამისა, საგანგებო ვიზიტატორი შეეცდება კათოლიკობის სასურველ პირობებში ჩაყენებას და გაძლიერებას ქართველ ხალხში. ამ აზრით უმაღლეს ელჩს განუზრახავს კათოლიკეთა სასულიერო სემინარიის დაარსება საქართველოს ერთ-ერთ ცენტრში. თეოლოგიის ცოდნას კათოლიკები დიდათ აფასებენ და ამიტომ მათი სამღვდელოება უკლებლივ საუცხოვო მცოდნენი არიან ამ საგნისა. ამ მხრივ კათოლიკეთა სამღვდელო პირნი შეუდარებლად მაღლა დგანან მართლმადიდებელ მღვდლებზე. განვითარებული და ღვთისმეტყველების თეორიულად მცოდნე პატრი გავლენითაც სარგებლობს მრევლში და პატივისცემაც დამსახურებული აქვს. სასულიერო ცენტრის საქართველოში დაარსებით კათოლიციზმი უეჭველი

უკანასკნელი ცნობები

უმაღლესი საბჭო დასთანხმდა ტიტონის წინადადებაზე, რომ ავსტრიამ უკომპენსაციოდ უნდა დაუთმოს იტალიას რეშენში რკინის გზა.

ტურინში ახლო მომავალში მოხდება იტალიური ეროვნული ხელოვნების გამოფენა.

იტალიაში ყურძნისა და ღვინის შეტანა აკრძალეს.

ფინლიანდიის ყურეში ინგლისელები კაპორის ნაპირებს ყუმბარებს უშენენ.

კიევიდან გასული ბოლშევიკების ჯარი ვოროჟის ჩრდილოეთით გამაგრდა.

ბოლშევიკები 25 ვერსით მიუახლოვდნენ ცარიცინს.

დამხმარე ფაქტორი აღმოჩნდება და, თუ მივიღებთ მხედველობაში კათოლიკეთა უზენაეს მართებლობის ყოველმხრივ შეძლებას—მატერიულს და ინტელლექტუალურ — მორალურს — შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ქართველ-კათოლიკეთა რიცხვი გაიზრდება ერთი ათად.

რომის პაპის საგანგებო ლეგატი ალბად ეცდება მრავალი საეკლესიო სპეციალური საკითხი საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიასთან შეთანხმებით გადასჭრას, რათა ამ რიგად ისტორიული ძმური განწყობილება ორ ეკლესიათა შორის ურყევად ვითარდებოდეს შემდგომშიაც. პაპის ელჩმა უდიდეს მნიშვნელობის ამბავი ჩამოიტანა რომიდან: ბენედიქტ XV-ეს უცვნია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, თავისი ძმური ლოცვა კურთხევა გადმოუცია კათოლიკოზ-პატრიარქ ლეონიდესთვის და ლეგატის პირით მიულოცნია სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელობა. ამ აქტს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს და თავისთავად ცხადია იურიდიულ შინაარსსაც ჰმატებს 12 მარტის საეკლესიო აქტს. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ საქართველოს ეკლესიის კანონიერი უფლებანი რომის პაპის მიერ დადასტურებული იქნებოდა და ეს მოვლენა საეკლესიო თვალსაზრისით აღსანიშნავია და ყურადსაღები.

დღევანდელი ვითარება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა სამწუხაროა: ეკლესია ფაქტიურად ჩამოშორებულია სახელმწიფოს და მოკლებულია ყოველივე სახსარს. მის სიმდიდრეს დაპატრონდნენ უცხო ელემენტები, ხოლო ეკლესია მოკლებულია საშუალებას თავის საკუთარ შენობებში სასწავლებლები მაინც შეინახოს. საეკლესიო სკოლები მიკეტ-მოკეტეს მთელს რესპუბლიკაში, სასულიერო სასწავლებლების ხსენება აღარსად არის და შესანიშნავი ტფილისის სემინარიაც უცნაური გარემოებით ჯერ „გარდაიქმნა“ და მერე კი ილიკვა მთლად. სწავლული მღვდელი ილევა საქართველოში, სოფელს მოედო გაუნათლებელი და ღირსება მოკლებული სამღვდელოება, რის გამო უარესდება ისედაც სამწუხარო საეკლესიო ყოფა-ცხოვრება.

კათოლიკეთა ეკლესიასთან ერთად მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიის პრესტიჟიც უნდა დაცულ იქნეს, ხოლო ორივე ეკლესიის გასაჭირი გამოხმაურებას უნდა ჰპოვებდეს სახელმწიფოში. ეკლესიას უნდა შერჩეს თავისი სარჩო-საბადებელი, მას უნდა მიეცეს მისი ქონება, დაუბრუნდეს შენობები, რომ შესძლოს მორწმუნე ხალხის სამსახური, მისი სარწმუნოებრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

საერთო ღონისძიებით ყველა სარწმუნოების წარმომადგენელნი, ვფიქრობთ, შესძლებენ საქართველოში არსებულ აღსარებათა მდგომარეობის გამოსწორებას და მათ თანაბარ უფლებრივ ნორმებით განსაზღვრას.

რომის პაპის განთქმული ელჩი,- ჩვენ გვჯერა, ამ მხრივაც იმოღვაწებს.

* * *

პრესსა

ხალხები და ავტონომიის საკითხი.

„ნორ-აშხატავორი“ მორიგ ნომერში (№ 183) ეხება „ეროვნულ კულტურულ ავტონომიის საკითხს“ და სხვათა შორის, სწერს შემდეგს:

„ამ ერთი წლის პოლიტიკურ თავისუფლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობას არ უზრუნვია ეროვნულ უმრავლესობათა და უმცირესობათა ურთიერთ დამოკიდებულების გაწორებაზე და მათ ერთ საერთო უფლებრივი მდგომარეობაში ჩაყენებაზე.

პირიქით, საქართველოს მთავრობა ყველაფერს სჩადის, რომ ჩამოიშოროს თავიდან ეროვნული უმცირესობანი და ეს მტკიცდება მით, რომ ჰქმნის მათთვის ანნორმალურ მდგომარეობას. საკმარისია მოვიგონოთ, თუ როგორ ექცევა სომეხ ელემენტს, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა შორის ყველაზე მრავალ რიცხოვან უმცირესობას წარმოადგენს საქართველოში, რომ ერთხელ და სამუდამოდ ცხადი შეიქმნეს საქართველოს მთავრობის გზა. შევიწროება, ძალადობა, დევნა, დაპატიმრება საშუალებათ აქცია და შესძლო გადაექცია საქართველოს მოქალაქის იდეა ქვეშევრდომ ერების იდეათ და შექმნა ამ „ქვეშევრდომთათვის“ ძალიან დამამცირებელი მდგომარეობა.

მოვიგონოთ სომხების მდგომარეობა დალეთში, ბოლნის ხაჩინში, შულავერში, ახალქალაქში, როცა განურჩევლად უდანაშაულო სომხები ათასობით ჩასვეს ციხეში და ხოლო ხანგრძლივი „ოდისეიის“ შემდეგ თავისუფლდებოდნენ. და ა. შ. „გაწმენდის“ პოლიტიკას სისტემატიურად, გასაოცარი თანდათანობით ატარებენ ცხოვრებაში და ჰქმნიდენ მშვიდობიან ცხოვრებისათვის აუტანელ მდგომარეობას.

რამდენადაც ქართულმა პრესამ არ მოინდომოს, რომ გაამართლოს და გამოარკვიოს ქართულ მთავრობის „დემოკრატიული“ და „თანასწორი“ დამოკიდებულება ეროვნულ უმცირესობისადმი, ეს შეუძლებელი და განუხორციელებელი დარჩება. იმდენათ დამაჯერებელია ნამდვილი ფაქტები თავიანთი საშინელი სიშიშვლით.

მეორე მხრივ საქართველოს კანონმდებელი ორგანო, თითქო, ცდილობს შექმნას იმნაირი პირობები, რომლითაც უმცირესობათა უფლება პატივცემულ იქნება. ამ საშუალებით დააკავშირა აზხაზეთი თავისთან, ასევე მსურს მოექცეს აჭარას.

დღევანდელ უფლებებ მოკლებულ პირობებში სომხური ელემენტი მოვალეა გადაჭრით წამოაყენოს თავისი კულტურულ ავტონომიის საკითხი.

ეს სრულებით ცხადი და მორიგი მოთხოვნილებაა, რომლის სამართლიანად გადაწყვეტიდან დამოკიდებულია საქართველოს ქვეყნის-ცხოვრება და მისი განვითარების კანონიერი სვლა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ხელმძღვანელი პარტია და შესაფერი ორგანოები გაიგებენ სახელმწიფოებრიობის ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, და შეჰქმნიან საქართველოს თავისუფალ მოქალაქის იდეას, უზრუნველ ჰყოფენ უმცირესობის უფლებას ავტონომიის საშუალებით“..

სომხები რომ თავიდან მიჩვეულნი არიან თავიანთ მდგომარეობის გადამეტებით აწერას და რომ ძალათი ჰქმნიან ისეთ ატმოსფერას, რომ დააჯერონ გარეშენი თავიანთ უბედურებაში—ეს ძველი ამბავია. სომხებისთვის ეს ჰიპერბოლიზმი ნაცადი ხერხია და მეთოდი—ამიტომ არაფერი ფასი არ აქვს იმ ჩივილს, რომ სომხები საქართველოში შევიწროებულნი არიან და ეროვნულ უმცირესობათა გარანტიები დაცული არ არის. ეს არც თვითონ სომხებს სჯერათ - რაც უნდა ცუდი აზრის არ ვიყოთ საქართველოს დღევანდელ მთავრობაზე —მისი სომხებისადმი მოპყრობაში გამტყუნება არ შეიძლება.

რაც შეეხება „აშხატავორის“ ანალოგიებს აფხაზეთთან და აჭარასთან —ამის ეფემერობას ყველა მიხვდება— სად მოითხოვენ სომხები ავტონომიას? არც ისე შორს არის ის დრო, როცა სომხები ტფილისზე აცხადებდნენ პრეტენზიებს და განა მარტო ტფილისზე? ანდა სომხებისთვის განა გამორკვეულია დამოუკიდებლობის და ავტონომიის საკითხი, თვითონ თავიანთ რესპუბლიკაში?

* * *

ლიუცერნის კონგრესზედ

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, უკვე გავაცანით მკითხველებს ლიუცერნის კონგრესის უმთავრეს ხელმძღვანელების სიტყვებს. სამწუხაროდ, საფოსტო ურთიერთობის მოუწყობლობის გამო, პარიზის გაზეთები თბილისში სისტემატიურად არ მოდის. გუშინდელ № ში მოყვანილი სიტყვები ამოღებული გვქონდა გაზეთ „ჰუმანიტეს“ 7/VIII №-დან ჩვენს წინაშე ეხლა ამავე გაზეთის მხოლოდ იმავე თვის 11 რიცხვის №.

მიღებულ მასალიდან შემდეგი ირკვევა: ორ მიმდინარეობათა შორის უთანხმოებამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო ბოლშევიზმთან დამოკიდებულების საკითხის გარჩევის დროს (რეზოლიუცია ინტერვენციის შესახებ). კონფერენციაზე კინაღამ არ მოხდა განხეთქილება და დაშლა მეორე ინტერნაციონალისა. უკანასკნელ კრიტიკულ მომენტში მიიღეს ცნობა უნგრეთის ბოლშევიკურ მთავრობის დამხობის შესახებ. ამ ცნობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონფერენციის დელეგატებზე და შეთანხმებისაკენ მისწრაფება მათში გაძლიერდა.

რენოდელმა და ადლერმა რეზოლიუცია შეიტანეს და აცხადებდნენ პროტესტს უნგრეთში მომხდარ სახელმწიფო გადატრიალების გამო. რეზოლიუცია კონფერენციამ ერთხმად მიიღო. ამასთანავე რენოდელმა (საფრანგეთის უმცირესობის წარმომადგენელი) განაცხადა, რომ ის დაუთმობს მოწინააღმდეგეებს, ბოლშევიკების საქმეებში ჩარევის საკითხის შესახებ რეზოლიუციის მიღების დროს. ის მოითხოვდა მხოლოდ რომ ამ რეზოლიუციაში შემოკლებულიყო ის პირობები, რომელნიც ბოლშევიკებმა უნდა შეასრულონ. აშკარაა, საქმე შეეხებოდა მიზნებს იმ საანკეტო კომისიისა, რომელიც მეორე ინტერნაციონალმა რუსეთში უნდა გაჰგზავნოს.

საფრანგეთის უმრავლესობის წარმომადგენელმა რენოდელმა განაცხადა, რომ მემარცხენენი უარს ამბობენ ყოველგვარ მოთხოვნილებებზე რომელთაც ბოლშევიკებისადმი ულტიმატური ხასიათი ექნება.

ჰილფერდინგის და ი. წერეთლის რეზოლიუცია

ბოლოს კონფერენციის კომისიამ მიანდო ჰილფერდინგს და წერეთელს ცდილიყვნენ რეზოლიუციაში შეერიგებინათ ორივე შეხედულება და მიეცათ მისთვის ორივე მიმდინარეობისათვის მისაღები ფორმა.

„ჰილფერდინგმა და წერეთელმა“ იუწყება „ჰუმანიტე“ ს კორესპონდენტი შეთანხმება მოახდინეს. კომისიამ ღამის სხდომაზე დაამტკიცა ეს შეთანხმება მცირე შესწორებებით.

წერეთლის ტექსტი მიიღეს კონფერენციის პლენარულ სხდომაზე.

ვიდრე რეზოლუციის ტექსტს მოვიყვანდეთ, ვბეჭდავთ ფრიც ადლერის სიტყვის ნაწილს, რომელსაც კონფერენციაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.

ადლერის სიტყვა

ადლერი ამბობს, რომ შემთხვევების ფატალურმა მსვლელობამ უფრო მეტი სამსახური გაუწია ჩვენს მიზნებს ვიდრე ჩვენი ამხანაგების მუშაობამ. ის რაც სოციალისტებში თავის წინად ჭეშმარიტებად ითვლებოდა, უფრო სწორედ დღეს: ვერსალის იმპერიალისტურმა ზავმა ყველას თვალები აუხილა. ამხანაგები ბოლოს და ბოლოს იგებენ თუ რამდენად შემცდარია მოლოდინი თითქოს არა სოციალისტური მთავრობა რამეს მოიმოქმედებს ჩვენთვის.

ვერსალის ზავი ისევე სასირცხვო რამ არის როგორც ბრესტ-ლიტოვსკისა. ის არის ერთად ერთი შესაძლებელი შედეგი იმ ომისა, რომელიც მხოლოდ მოქიშპე იმპერიალისტების და ბურჟუათა შორის სწარმოებდა.

შემდეგ ადლერი ეხება ავსტრიელ ამხანაგების ტაქტიკას. ომის დროს მათ ჰქონდა პრინციპიალური უთანხმოება. დღეს კი მხოლოდ მეთოდებში აქვთ სხვა და სხვა აზრი. უთანხმოება ისეთი ღრმა არ არის რომ გათიშვა გამოიწვიოს, რაც არავის სურს.

ჩვენ შევინარჩუნეთ ერთიანობა და ერთობის წყალობით ეკონომიურად ღარიბ ავსტრიაში პოლიტიკური მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე გერმანიაში, სადაც სოციალისტთა შორის ბრძოლას მიჰყავს ქვეყანა იქამდე, რომ იქ მთავრობა და სოციალისტური პარტიები მერყევი.

ვილაცამ მოაგონა ადლერს, რომ ის თავის ქვეყანაში ბოლშევიზმს ებრძვის ადლერი უპასუხებს: „ჩვენ ბოლშევიკებს ვაკრიტიკებთ, მაგრამ ვაკრიტიკებთ არა როგორც ბურჟუები, არამედ როგორც სოციალისტები. ვენის მუშათა საბჭოში ჩვენ კონტაქტი გვაქვს ავსტრიის კომუნისტებთან რომლებთანაც მხოლოდ მეთოდების საკითხში არა ვართ შეთანხმებულნი. ინტერნაციონალმა არ უნდა გაჰკიცხოს ბოლშევიზმი. [illegible] ინტერნაციონალს არა აქვს ამის სათანადო ავტორიტეტი. ეს ინტერნაციონალი კი არ არის მხოლოდ მისი ნაწილი... მესამე ინტერნაციონალი არსებობს და მისი არ დანახვა და ან დაცინვა მხოლოდ [illegible] იქნებოდა. მე არ მინდა არჩევანი მოვახდინო მეორე და მესამე ინტერნაციონალთა შორის ვდგევარ რა უპირველესად ყოვლისა ერთიანობის ნიადაგზე მე ორივეს ვამჩნევ.

არა—ამბობს ადლერი—ეს დამახინჯებული ინტერნაციონალი, რომელიც ლუცერნში არის შეკრებილი არ არის ის ინსტანცია, სადაც შეიძლებოდეს ყველა გამწვავებული კითხვები: ბოლშევიზმის და გერმანიის სოციალიზმის შესახებ. ნუ დავგმობთ, თორემ მეტად ბევრის დაგმობა მოგვიხდება.. ამას იქით ვცადოთ ერთმანეთის დაუახლოვდეთ ყველა ჭეშმარიტი სოციალისტები, როგორც ერთი, ისე მეორე ინტერნაციონალიდან: შევეცადოთ ერთმანეთის გაგებას. მოქმედი ინტერნაციონალი რომლის შექმნისკენ ჩვენ მივისწრაფით, მოიპოვებს მაშინ შეურყეველ ნიადაგს.

პეტრე აქსელროდის სიტყვა.

„ჰუმანიტეს“ ცნობით ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოვიდა პეტრე აქსელროდი. მაგრამ სამწუხაროდ გაზეთს არ მოჰყავს მისი სიტყვა.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია ორ კითხვის შესახებ:

საზავო ხელშეკრულების და რუსეთის საქმეებში ჩარევის შესახებ. (პირველი რეზოლიუცია „ჰუმანიტეში“ დაბეჭდილი არ არის).

უკანასკნელ სხდომაზე მარიამობისთვის 9-ს კონფერენციამ ერთხმად მიიღო მთელი რიგი რეზოლიუციებისა დამონებულ ერთა და რასათა სასარგებლო შინაარსისა.

რეზოლიუცია მიღებული ლუცერნის კონფერენციის მიერ რუსეთის საქმეებში ჩარევის შესახებ

„კონფერენცია ხელახლა გამოსთქვამს ინტერნაციონალის წინანდელ პროტესტებს მოკავშირეთა მთავრობის წინააღმდეგ რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევის გამო. ეს პროტესტები გამოთქმულია, როგორც ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის ისე მის ეროვნულ სექციების მიერ.

ის ჰფიქრობს, რომ მას შემდეგ რაც ომი დასრულდა ყველა მთავარ ფრონტზე, დამღუპველ პოლიტიკის გამო არ არის საშუალება ომის მოსასპობად იმ ადგილებში სადაც კონფლიქტები ჯერ კიდევ ხდება.

ჰყავთ რა ჯარები რუსეთის წინააღმდეგ მიმართული, მოკავშირე მთავრობები და არ აძლევენ რუსეთის ხალხს თვით განაგოს თავის ბედი.

ინტერნაციონალი სდებს რევოლიუციური დიქტატურის მეთოდების განხილვას შემდეგ დებატებამდე; ეს ამტკიცებს, რომ კაპიტალისტური მთავრობების პოლიტიკა ყველა საშუალებას იძლევა განვაცხადოთ, რომ ისინი აგრძელებენ ომს რუსეთში მხოლოდ იმისთვის, რომ ის ქვეყანა რევოლუციას.

ამით ისინი ხელს უწყობენ, რომ რუსეთში სამოქალაქო ომი გაგრძელდეს. ამ გვარად ინტერნაციონალის მოვალეობაა დაიცვას რუსის პროლეტარიატი, რომელზედაც მის შემდეგ რაც მასზე ძალდობა იხმარეს კაიზერიზმმა და პან-გერმანიზმმა ბრესტ-ლიტოვსკში, კიდევ ხმარობენ ძალადობას კაპიტალისტური სახელმწიფოები.

კონფერენცია პროტესტს აცხადებს იმ ფინანსიურ და სამხედრო დახმარების წინააღმდეგ რუსეთის ყველა სოციალისტურ და მუშათა ორგანიზაციების ერთსულოვან გადაწყვეტილებისა მოკავშირე სახელმწიფონი აძლევენ კონტრ-რევოლუციას, რომელსაც კოლჩაკი და დენიკინი მეთაურობს და რომელთაც პარიზში თავის აგენტები ჰყავთ.

ის ჰგმობს ამ აქტს, რომელიც არის გამოწვევა მთელი დემოკრატიისა და საერთოდ კაპიტალისტურ მთავრობების მხრით ყველა სოციალისტური პარტიების მიმართ.

„კონფერენცია პროტესტს აცხადებს ბლოკადის გაგრძელების გამო, რომელმაც შიმშილისა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო 100 მილიონ ადამიანის არსება იმ დროს, როცა კონტრ - რევოლუციას ყველაფერს აწოდებენ.

„ინტერნაციონალი იმედს გამოსთქვამს, რომ სოციალისტური პარტიები ყველა საშუალებებით ფარდას ახდიან ამგვარ მდგომარეობის შედეგებს და შეებრძოლებიან მათ. ინტერნაციონალი მოუწოდებს თავის სექციებს ძალა დაატანონ მოკავშირეთა მთავრობებს, რომ მათ რუსეთიდან ჯარები გამოიყვანონ, ხელი აიღონ რეაქციის ყოველგვარ პოლიტიკის დახმარებაზე როგორც არ უნდა იყვეს ამ რეაქციის გამოხატულება. ამგვარად კონფერენციას გადააქვს რუსეთის ხალხის განკარგულებაში, რომელიც გარეშე ძალადობას განიცდის, მთელი თავის მორალური ძალა. ის ხელ-ახლად იმეორებს თავის კანონიერ მოთხოვნილებებს ინახულოს რუსეთი და გააცნოს პროლეტარიატს და საერთო საზოგადოებრივ აზრს რევოლიუციური ბრძოლის მოვლენანი, უთანხმოებანი სოციალისტურ პარტიებში, კონტრ-რევოლუციონერთა მოქმედებანი რუსეთში, მილიტარიზმი, როგორც გერმანული ისე მოკავშირეთა.

„კონფერენცია ანახლებს თავის დადგენილების შესახებ რუსეთში საქმის მდგომარეობის შესასწავლად კომისიის გაგზავნისა. იგი დიდ ყურადღებას მიაქცევს, რომ ამ კომისიამ აღმოაჩინოს იმ უთანხმოებათა მიზეზები; რომელიც სოციალისტურ პარტიათა შორის არსებობს, მანვე უნდა მოსძებნოს რეპრესიების წარმოშობის მიზეზები, ისევე როგორც მიზეზები იმ კონფლიქტებისა, რომელიც თავისუფალ მართველობა და...(allogenes) სახელმწიფოთა სოციალისტურ მთავრობათა შორის ხდება.

კონფერენცია ჰფიქრობს რომ თანამედროვე მთავრობა სიამოვნებით შეუწყობს ხელს ინტერნაციონალურ კომისიას ჭეშმარიტების გამორკვევაში იმ კომისიას, რომელიც სრულიად მიუდგომელი და ძმური გრძნობებით არის განწყობილი რუსეთის პროლეტარიატისადმი.

* * *

მთიელთა კონფერენცია

28 მარიამობისთვიდან 3 ენკენისთვემდის თბილისში მთიელ მოღვაწეებს კონფერენცია ჰქონდათ,

კონფერენციაზე იყვნენ წარმომადგენელნი აგრეთვე ჩრდილო-კავკასიიდან.

თავმჯდომარედ აირჩიეს ახმედ ცალიკოვი, რომელიც კონფერენციის მესამე დღეს ავად გახდა, ის კონფერენციის შემდეგ მუშაობაში მონაწილეობას ვეღარ ღებდა.

დღის წესრიგში იყო: მთიელთა კომიტეტის მოხსენება, მოხსენებანი ადგილებიდან, მიმდინარე მომენტი, მთიელ დემოკრატიის მიზნები და ორგანიზაციული საკითხი,

კონფერენციის სხდომებმა მეტად მღელვარე ხასიათი მიიღო მაშინ როდესაც კამათი ორგანიზაციულ საკითხს შეეხო, მიზეზი იყო მთიელთა მთავრობის ყოფილ წევრების სურვილი ახალ მთავრობის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. ამ განცხადებამ აღელვება გამოიწვია მემარცხენე სექტორში, რომელმაც უარი განაცხადა კონფერენციაზე ახლად შექმნილ „შეთანხმების მეჯლისის“ შემადგენლობაში შესვლაზე.

ძველი მთავრობის წევრებმა განხეთქილება ამჯობინეს თავიანთ გასვლას. ამის შემდეგ ყაბარდოელებმაც უარი განაცხადეს „მეჯლის“-ში შესვლაზე; ასევე მოიქცნენ რუსეთის დემოკრატიისა და დაღესტნელების წარმომადგენლებიც. დარჩნენ მხოლოდ ჩეჩნები და ინგუშების ნაწილი. პერსონალურად მეჯლისის შემადგენლობა ასეთია: მაჰმედ ჯაბაგიევი, ვასან გირეი ჯაბაშევი, ინალუკ მალსაგოვი, მაჰმედ შერიპოვი, ალიხან კანტემიროვი, იზმაილ აბაევი, აბას ეფენდიევი. შეიტანეს განცხადება მეჯლისიდან გასვლის შესახებ: ახმედ ცალიკოვმა, ურუსოვმა და მუსა საუტიევმა.

* * *

ინგლისელთა საპატივცემულო ბანკეტი

საქართველოდან მიმავალ ინგლისის სარდლობის პატივსაცემლად, 5 მარიამობისთვეს, ქართულ კლუბის საზაფხულო ბაღში მთავრობამ გამართა საზეიმო სადილი, რომელიც ხრულ 8 საათზე დაიწყო. ბაღის ძველი როტონდა მორთული იყო ყვავილ გვირგვინებით და სხვა და სხვა ფეროვან ელექტრონის შუქებით გაჩირაღდნებული და ხონჩებით ქართულ გვირგვინებზე მორთული როტონდის თავს აშვებულია ორი დროშა: საქართველოსი და ინგლისისა. ვიდრე სადილი დაიწყებოდა შეერთებულმა ორკესტრმა დაუკრა ჰიმნები ქართული და ინგლისური. ბანკეტს დაესწრნენ საქ. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ე. პ. გეგეჭკორი, მთავრობის, დამფ. კრების წევრნი და სამინისტროების წარმომადგენელნი და სხვა, საპატიო პირნი. ინგლისის მხრივ პოლიტიკური მისიის თავმჯდომარე მისტერ ოლივერ უორდროპი, ამიერ კავკასიის ბრიტანეთის ჯარების მთავარი სარდალი გენ. კორი, შტაბის უფროსი პოლკ. ბელიუ გენ. ბიჩი, გენ. მონტენიბელი, გენ. ბ აუვ იტალიის მისიის თავჯ. პოლკ. [illegible] უცხოელ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი და თავჯდომარე სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისისა მამედ ბეგ აბაშიძე.

ტოლუმბაშათ არჩეულ იქნა ბ. დავით ღამბაშიძე; პირველი სადღეგრძელო წარმოსთქვა ქართულად მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ბ-მა ე. გეგეჭკორმა, რომელმაც მეტად მხურვალე და გრძნობიერ სიტყვაში, სალამი უძღვნა ინგლისის წამსვლელ დელეგაციას და იმედი გამოსთქვა, რომ ის კავშირი, რომელიც ჩვენსა და ინგლის-შუა დამყარდა მტკიცე და სამუდამო იქნებაო.

ბ-ნ გეგეჭკორის სიტყვა ბ-ნ ღამბაშიძემ ინგლისურათ სთარგმნა, რის შემდეგ ინგლისის მისიის სახელით საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ბრიტანეთის სარდლობის მეთაურმა გენ. კორიმ, რომელმაც უსურვა ამ კავშირს საქართველოსა და ინგლის შუა დღეგრძელობა და მოითხოვა სადღეგრძელო საქართველოსი. ორკესტრის მიერ შესრულებული ეროვნული ჰიმნი საერთო ვაშას ძახილმა დაჰფარა.

შემდეგ სადღეგრძელოები წარმოსთქვეს ქალაქის მოურავმა ბ. ჩხიკვიშვილმა, სამხედრო მინისტრის ამხანაგმა გედევანიშვილმა, სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავჯდომარემ მამედ ბეგ აბაშიძემ, ინგლისის მხრივ გენ. კორიმ, გენ. ბიჩმა, გენ. მონტემიუ-ბელმა გენ. ბრაუნმა და სხვ: სადილზე უკრავდა სიმებიანი და სამხედრო ორკესტრი, აშუღთა ორი დასტა და ქართულ ეროვნულ სიმღერებს ასრულებდა ბ. მაისურაძის გუნდი. სადილის ბოლოს გაიმართა ცეკვა ლეკური და მხიარულებამ იმ უაღრეს წერტილს, მიაღწია რომ საერთო ფერხულში ჩაებნენ ინგლისელი და ქართველი სტუმრები. სადილი დილის 5 საათზე დამთავრდა.

დაწვრილებით შემდეგ № ში.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილესთან.

გუშინ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს წარუდგნენ გამოსათხოვარი ვიზიტით ამიერ-კავკასიის ბრიტანეთის ჯარების მთავარი სარდალი გენ. კორი და შტ. უფროსი პოლკ. ბელიულიუ.

გუშინ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს წარუდგა სადარბაზოთ პოლონეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ოსტროვსკი.

გუშინ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს წარუდგა შვეიცარიის წარმომადგენელი მეიერი.

ინგლისის მისიის გამგზავრება.

გუშინ ნაშუადღევის 7 საათზე თბილისიდან საგანგებო მატარებლით გაემგზავრა ინგლისის სარდლობის მეთაური გენ. კორი თავისი შტაბით.

ქრონიკა

საქონელი ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებისათვის. საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების გამგეობამ დიდძალი საქონელი (კონსერვები, შოკოლადი, ბისკვიტი და სხ.) შეიძინა მიმავალ ინგლისელებისაგან. გამგეობამ საქონელი უკვე ჩაიბარა და ჰყიდის როგორც მთავარ საწყობში ისე ყველა განყოფილებაში.

გაზეთი „ნაროდნოე სლოვო“ ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა ყრილობათა საბჭოს ორგანო „ნაროდნოე სლოვო“-ს პირველი ნომერი დღეს გამოვა.

გვარდიის საოლქო ყრილობა. ამ დღეებში გაიხსნა ქუთაისის გვარდიელთა საოლქო ყრილობა. ყრილობის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ჰუმბერიძე მდივნად—ტ. გვარამია. ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მთავრობას და გვარდიის მთავარ შტაბს.

საქართველოს სახაზინო რკინის გზა. გაყოფილია 5 სარევიზიო სადგურთა ანგარიშ წარმოების უბნად; მასთან 1 უბანში დარჩა ნ. ლორთქიფანიძე, 2 დაინიშნა კ. ქურდღელაძე 3 პ. მაჭავარიანი, 4 მ. ახვლედიანი და 5 შ. ნატროშვილი.

მახარაძის ჩამოსვლა. ამ დღეებში სომხეთიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი სომხეთის მთავრობასთან გ. მახარაძე.

ხეირობა. ენკენისთვის 21-ს ქართულ კლუბის ბაღში გაიმართება ხეირობა ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების [illegible] სკოლის სასარგებლოდ.

ბოროტ-მოქმედებანი

ქურდობა. კ[illegible] ქუჩაზე მცხოვრებმა ალმასიან პეჭიამ მილიციას განუცხადა, რომ მისი ბინიდან ბოროტმოქმედებმა 8,000 მან. სხვა და სხვა საქონელი მოიპარეს. მილიციამ ეჭვით შეიპყრო ლაზარე აბრამოვი. უკანასკნელი ქურდობაში გამოტყდა, მასვე აღმოაჩნდა ნაწილი მოპარული ნივთებისა.

შაქრის გამოტყუილება სამხედრო უწყებიდან. 30 აგვისტოს სამხედრო სამინისტროს სამართველოში გამოცხადდა სახალხო-ჯარის ოფიცერი ქოჩაკიძე, რომელმაც სათანადო საკომენდანტოს წერილობითი მოთხოვნილებით მოითხოვა 300 ფუთი შაქარი ამერიკელთა დამხმარე კომიტეტისათვის. წერილობითი მოთხოვნილება ყალბი აღმოჩნდა, ქოჩაკიძე დანაშაულში გამოტყდა. მას წინათ ასეთი ყალბი მოწმობით გაეტანა შაქარი, და გაეყიდა. მას ამხანაგათ ჰყოლია როტმისტრი ნ. ამილახვარი. ქოჩაკიძე დააპატიმრეს. ამილახვარმა დამალვა მოასწრო.

ინგლისელ ჯარისკაცების საქციელი. მე-2 უბნის კომისარი მილიციის უფროსს ატყობინებს, რომ 2 ენკენისთვეს საპიორის ქუჩაზე ყაზარმაში მდგარ ინგლისელმა ჯარისკაცებმა სულ ერთიანად დალეწეს ჯოხით ყაზარმის ფანჯრები.

სამხატვრო ქრონიკა

კაპელა. ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის კაპელამ დაამთავრა მოგზაურობა დასავლეთ საქართველოს პროვინციებში, გამართა სულ 14 კონცერტი. ამ თვის შუარიცხვებში კაპელა თბილისში დაბრუნდება ცოტა ხნის დასვენების შემდეგ კაპელა გაემგზავრება აღმოსავლეთ საქართველოს პროვინციებში.

ტან-ვარჯიშობის მასწავლებელთა კრება. ხვალ, ორშაბათს, მარიამობისთვის 8-ს, საღამოს ხუთ საათზე, ფიზიკურ განვითარების მთავარი ინსპექტორი გ. ეგნატაშვილი იწვევს ტანვარჯიშობის მასწავლებელთა საერთო კრებას. კრება შესდგება საზ. „შევარდენის“ ბინაზე (ფეიერვერკის ქ: № 4). კრებაზე დასწრების უფლება აქვთ მასწავლებლობის უფლების მქონე პირთაც.

გაემგზავრნენ მინისტრი ნოე ხომერიკი ბორჯომში, გადასახად-გადამოსახადის საერთაშორისო ბიუროს თავმჯდომარე გ. თუმანოვი—ბათუმში, შავი ქვის მრეწველთა კომიტეტის თავმჯდომარე გ. ჟურული — ქიათურაში, გზათა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ვ. [illegible]ნაძე გელათში, უკრაინის დიპლომატიური წარმომადგენელი კრასნოვსკი ქიათურაში.

რესპუბლიკის სახალხო სკოლების მთავარ-გამგე აცხადებს, რომ საჭიროა გამგე და მასწავლებლები ახალციხე-ახალქალაქის უმაღლეს დაწყებითი სკოლებისათვის. თხოვნები საჭირო საბუთებით და განსაკუთრებით განათლების ცენზის მაჩვენებელი მოწმობით მიიღება სამინისტროში 12 სექტემბრამდე. ხოლო ვისაც სურს ადგილის მიღება ამავე მაზრის პირველ-დაწყებით სკოლებში მათ უნდა მიმართონ ახალციხეში სამინისტროს რწმუნებულს სახალხო სკოლების ინსპექტორის მოვალეობათა აღმასრულებელს ბ. გიორგი მელიქიძეს.

რესპუბლიკის სახალხო სკოლათა მთავარ გამგე. ამით აცხადებს, რომ უკვე დაიბეჭდა პირველ და უმაღლეს დაწყებით სასწავლებელთა პროგრამები. ბოლოში დართული კვირეული გაკვეთილების ცხრილით. შეძენა შეიძლება მთავრობის სტამბაში თბილისი, კალოუბნის ქუჩა № 5

სომხეთი

კლემანსო და სომხეთის უზრუნველ ყოფის საკითხი.

პოლკ. ჰასკელს პარიზის საზავო კონფერენციის თავმჯდომარე კლემანსოსთვის უცნობებია, რათა სომხეთის დაცვისათვის მიღებულ იქმნას საჭირო ზომები. ჰასკელმა კლემანსოსგან უკვე მიიღო პასუხი, რომლითაც იგი იუწყება რომ საამისოდ გაცემულია შესაფერი განკარგულებანი და ინსტრუქციები.

(„ნ. აზრ.“).

პოლკ. ჰასკელის დეპეშა.

„ნიუ-იორკ ჰერალდი“ სწერს, რომ ჰასკელს გაუგზავნია დეპეშა პარიზის კონფერენციის სახელით და ითხოვა რათა ინგლისმა კავკასიიდან ჯარები არ გაიყვანოს. ახლო დღეებში ამერიკის სენატში შეტანილ იქნება მოთხოვნილება, რათა სომხეთში თურქის შემოსევის წინააღმდეგ მიღებულ იყოს სასწრაფო ზომები. („ნ. აზრ.“).

მანდატების საკითხი.

სტამბოლის გაზეთების სიტყვით ველსონი 15 ენკენისთვეს, ოფიციალურად შეიტანს სენატში განსახილველად მანდატების საკითხს.

ოსმალეთის პარტიები და სომხეთი.

„ტაიმსის“ სტამბოლის კორესპონდენტი იუწყება, რომ ოსმალეთის პარტიების უმრავლესობა წინააღმდეგი არ არის რათა დამოუკიდებელი სომხეთი მოეწყოს ოსმალეთის საზღვრების გარეშე, მაგრამ უარყოფენ რომელიმე დათმობას ოსმალეთის მიერ.

მანდატის საკითხი გადიდება ოქტომბერში

პარიზის სომხეთის დელეგაცია მანდატის საკითხი გადაჭრის როგორც ირკვევა ღვინობისთვისთვის ელის ამერიკაში ძლიერ პროპაგანდას ეწევიან მანდატის საკითხის გარშემო.

(„ჟ. მ.“)

ოსმალეთი და სომხეთი ერთ მანდატის ქვეშ.

„ნიუ-იორკის“ სომხეთა კავშირის თავმჯდომარემ [illegible] მიმართა ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრს ფილიპს თხოვნით, რათა ამერიკამ მალე მიიღოს სომხეთის მანდატი. მან ბოლოს დასძინა, რომ არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება რომ ოსმალეთი და სომხეთი ერთ და იმავე მანდატორის მზრუნველობის ქვეშ დარჩნენ.

მონაწილეობა ხალხთა ლიგაში.

საერთაშორისო სოციალურ კონგრესმა გამოარკვია, თუ რომელ ქვეყანას რამდენი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს ხალხთა ლიგაში. ერებს ეყოლებათ დაახლოვებით 30 წარმომადგენელი, ბულგარეთს 8 წარმომად., სომხეთს 4, საქართველოს 4, საბერძნეთს—3.

(„ჰაიას.“)

ოსმალები მცირე აზიაში იარაღს [illegible].

ათენიდან იუწყებიან, რომ ერთი ბერძენ ნაღმოსანს მარმარილოს ზღვაში დაუჭერია ოსმალთა ერთი გემი იარაღით დატვირთული. გემში ყოფილა სამი თურქი ოფიცერი ქალის ტანისამოსში გამოწყობილი.

(„ნ. აზრ.“)

2000 სომეხი ჰარამხანებიდან განთავისუფლებულნი

ალეპოდან დეპეშით იუწყებიან, რომ ალეპოს ოსმალების ჰარამხანიდან გამოიყვანეს 2000 სომეხი ქალი და გადასცეს ამერიკის „წითელ ჯვარს“.

(„აიგ“ პარიზისა)

ქართველ ისრაელთა „განმანათლებელნი“

ერთ ერთ ჩვენს მოკლე წერილში ქართველ ისრაელთა შესახებ, ჩვენ აღვნიშნეთ არა მარტო ობიექტიური პირობები ქართველ ისრაელთა მასსის კულტურულ დაქვეითებისა, არამედ დიდის მნიშვნელობას ვაძლევდით იმ ხელოვნურად აღმართულ კედლებს, რომელიც ააშენეს კლერიკალ ფანატიკოსთა ხელმძღვანელმა პირებმა.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ისე „იოლად მოსახელ [illegible]“, როგორადაც წარმოუდგენიათ რუსეთელ ებრაელებს ქართველი ისრაელები, მეორე მხრიდან უნდებათ „მოამაგე“ და „გულშემატკივარი“ ჯგუფი იგრედ წოდებული სიონისტებისა.

მკითხველ საზოგადოება საკმაოდ იცნობს ამ საცოდავ იდეოლოგიის სიონიზმს და იცნობს მით [illegible] უფრო მომწიფებულ პირადაც, როგორც გონებრივ ზნეობრივის, ისე რაოდენობის მხრივ. მთელი იდეოლოგიური საფუძველი, ამ ვაჟბატონების იმაზეა აგებული, რომ რუსეთელ ებრაელებთან ნათესაური კავშირი უჭირავთ და თვით „მაღალ განათლებულ“ წერისონისათვის უხერხულად მაიჩნიათ ისეთი „ბნელი და გაუნათლებელი“ ხალხის ძმად მოგვაჩვენონ თავი, როგორიც ქართველი ისრაელებია. მათ ისიც [illegible], რომ ქართველ ისრაელთა პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენცია, განურჩევლად პარტიული რწმენისა, სულით და გულით ჩაება საქართველოს საზოგადოებრივ მუშაობაში სხვა და სხვა თანამდებობით როლში, რომელმაც დროებით განსწყვიტა ჩვენი მასსასთან მჭიდრო კავშირი და შეანელა ინტენსიური მუშაობა ხალხში.

ამ გარემოებამ მათ შეუწყო ხელი ისეთი საზიზღარი აზრი გაეფანტათ ქართველ ისრაელთა მასწავლე ახალ გაზრდობის წრეებში, როგორიცაა ორი ცნების სიონიზმისა და კულტურობის—სინონიმებად გადაქცევა. მთელი მათი მუშაობა იმ ლოზუნგით მიმდინარეობდა, რომ სიონიზმი არის განათლება, კულტურა და განათლება არის სიონიზმი, ხოლო ვინც სიონისტი არ არის ის ბეცი, უკულტურო და ბნელი ადამიანია.

რამდენად უსინიდისო და აბსურდულია ეს აზრი, ლაპარაკიც არა ღირს, მხოლოდ ის კია აღსანიშნავი, რომ ასეთი ლოზუნგების ახალ-გაზრდობაში გატანამ საშინელი ნაყოფი გამოიღო. ქართველ ისრაელთა მასსა, დემოკრატია, მორწმუნე ნაწილი მტრად გადაჰკიდა ინტელიგენციას და სიტყვა მოწაფე, სტუდენტი ან „დოხტური“ საშინელებად და უსჯულოებად ესახება ხალხს. ხალხს ეშინია შვილი სასწავლებელში შეიყვანოს სიონისტდება და რჯულს დაჰკარგავსო. ვისაც ჰყავდა სკოლაში შვილი, დღეს [illegible] აღარ აკარებს. ფანატიკოსთა ჯგუფს ემატება საბუთები ებრძოლონ განათლებას და უძახიან ხალხს: „აი თქვენი სწავლა, აი თქვენი განათლებაო“.

ამ ბოროტმოქმედებაში ბრალს ჩვენ სავსებით სიონისტებსა ვსდებთ და უპირველეს ყოვლისა იმ პირებს, რომელთაც თავისი სწავლით მოაქვთ თავი.

ხალხი ინტუიციით გაურბის ამ უსუსურ პოლიტიკოსებს, მაგრამ მეორე უკიდურესობის ფანატიკოსთა—ხელში ვარდება.

რაც შეეხება სიონისტთა 15 წლოვან „ლიდერების“ ტრაბახს—ინტელიგენცია ჩვენი არისო —ამაზე საკმაოსია ერთ რამეზე მიუთითოთ. ჩავიდა თუ არა დროებით ქუთაისში დასასვენებლად ერთი ჩვენი თანამოაზრე— და გაარკვია, რომ სიონიზმი არის უფრო მეტი საფრთხე ქართველი ისრაელთა კეთილდღეობისათვის, ვიდრე თუნდაც იმავე ბნელი ფანატიკოსების მუშაობა დაუყოვნებლივ შეინძრა და აყაყანდა სილაზე აშენებული სიონისტების კოშკი. მოაწყვეს სამედიატორო სასამართლოები და ამით აპირებენ დაწყელ „აქციებზე“ კვლავ კურსის აწევას.

რას უძახის ექიმი ბ. კაკიტელაშვილი ცილის წამებას, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ის კი ვიცით უტყუარი ფაქტებით ხელში, რომ ის თუნდაც იმით არის ქართველ ისრაელთა მტერი, რომ არა ლოიალურად და უხეშად მტრობს ჩვენს სამშობლო საქართველოს.

თქვენ შეგიძლიათ ამას დაბეზღება უწოდოთ, მაგრამ ჩვენ ამას არ შევუშინდებით და მე საჯაროდ და კატეგორიულად ვაცხადებ, რომ სიონისტების და მათი „ინტელიგენტი“ ექიმის ერთ და ერთი მიზანი არის შური და მტრობა დასთესონ ქრისტიან და ისრაელ ქართველთა შორის და შექმნან საქართველოში კიდევ ერთი და ყოვლად გაუმართლებელი, უტოპიური ეროვნული საკითხი. ჩვენ კი ამას ყოველის საშუალებით შევებრძოლებით და ვამხელთ ხალხის წინაშე ყველა თქვენ სიბოროტეს, რათა დაინახოს ხალხმა ვისთან აქვს საქმე და ანკესზე არ წამოეგოს. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, ვენაში, ბ-ნმა კაკიტელაშვილმა „გაითქვა“ სახელი თავისი ქართველოფობობით. ვისი კარნახით, არ ვიცით, მაგრამ იქაურ გაზეთ Diezzeit-ში მან მოათავსა ისეთი საზიზღარი წერილი, რომელიც ყველ შემთხვევაში დაფნის გვირგვინით არ შეამკობს მის „მოღვაწეობას“. ქართველ ხალხს მან ანტისემიტობა და ქართველ ისრაელთა დევნა დასწამა.

აღარ გავიმეორებ იმას, რაც ამ უკანასკნელი კვირეების განმავლობაში დაიბეჭდილა ქუთაისურ გაზ. „სოციალ-დემოკრატს“ ფურცლებზე ბ-ნი კაკიტელაშვილისა და მისი დამქაში ბავშვების შესახებ, მაგრამ მე მინდა საჯაროდ დაფასებისათვის იცოდეს ქართველმა ისრაელობამ ის ხულიგანური და დასაგმობი საქციელი ბ-ნი კაკიტელაშვილისა, რომელიც მან ჩაუდინა სახალხო განათლების სამინისტროს დირექტორის კაბინეთში. ეს ფაქტი გადმოცემული მაქვს მე თვით დეპარტამენტის დირექტორის ბერიძის მიერ და მდგომარეობს შემდეგში: ბ-ნი ექიმი კაკიტელაშვილი (იქვე ყოფილა ბატვის მასწავლებლის ვაჟ. კ-ტკოვიც) მისულა სამინისტროში შუამდგომლობისათვის, რათა ქართველ ისრაელთა ბავშვებმა მხოლოდ რუსულ (sic) ენაზე ისწავლონ, ვისი დავალებით არ ვიცით, მაგრამ ეს მოუვიდა ბ-ნ ექიმს ალბად მეტის მეტ ებრაულ სიონისტურ აღტყინებაში და, ვინ იცის, კიდევ იმიტომაც, რომ ევროპაში გაზრდილს ვერ წარმოუდგენია განათლება გარეშე რუსული ენისა.

აი როგორი ხალხი უდგას სათავეში სიონისტებს და თუ მოვიგონებთ რაბინ დავით ბაზოვის მუშაობას საქართველოს „სასარგებლოდ“, ჩვენ დავრწმუნდებით, რა ხეირს დაყრის ეს ხალხი ქართველ ისრაელობას.

დაბოლოს ჩვენ შეგვიძლია შევჩერდეთ გაზეთ „ხმა ებრაელის“ ყვითელ ფურცლებზე და მრავალი ანალოგიური თვალ-მარგალიტი ამოვკრიბოთ იქიდან, მაგრამ ამ ბავშურად მოტიტინე „გაზეთზე“ შეჩერება თანაბარი იქნებოდა მისი ყურადღების ღირსად ჩათვლისა. ქართველ ისრაელებს კი გავაფრთხილებთ და ვეტყვით: თუ გინდათ თქვენი ისტორიული ძმობა-ერთობა ქრისტიან ქართველებთან შეინარჩუნოთ და უფრო განამტკიცოთ ზიზღით და უყურადღებობით [illegible] თქვენს მოსისხლე მტერს სიონისტებს, სულ ერთია, საიდან იქნება იგი მოწოლილი რუსეთელ ებრაელებიდან თუ ქართველ ისრაელთა ოდიოდე გადაბრუნებულ ბავშვებიდან, ვენის უნივერსიტეტისა თუ „ტოვარიში“ ბოლშევიკების ნაჩუქარ დიპლომით „გადოხტურებულებისაგან“.

საქართველოს მტრობაზე ბევრმა მოიტეხა კისერი და მარადისაც ასე იქნება.

ი. ხანანაშვილი

ნიკოლოზ ყარაშვილი

(ნეკროლოგი)

თვენახევრის წინად ალბულახში ტრაგიკულად გარდაიცვალა ნიკოლოზ ყარაშვილი მე-2 ცხენოსანთა პოლკის პორუჩიკი. განსვენებული სულ ახალგაზდა იყო და მისი დაკარგვა ჩვენი მხედრობისთვის უსათუოდ დანაკლისია. მსოფლიო ომის ცეცხლის ანთებისთანავე ის არ დაჰკლებია სამხედრო ასპარეზს. სამშობლოში ჩამოსვლისთანავე იგი შევიდა ცხენოსანთა სამთო ბატარეაში და საქართველოს ყველა ბრძოლებში გამოდიოდა. იყო ტყვედ ბათომში, საიდანაც გამოიქცა, შემდეგ ვხედავთ სომხეთთან ბრძოლაში, სადაც დაჯილდოვებული იქმნა მამაცობისთვის ჭეშმარიტად ის იყო რაინდი რომელიც თავისს სისხლს არ იშურებდა საქართველოს თავისუფლებისათვის. მისი უდროო დაკარგვა ყველას გულში გამოიწვევს წრფელ სინანულს.

განი.

პოლკ. ჰასკელი და გენ. ჰარბორდი

„ნორ-აშხატ“, იუწყება: „გაზ. „ნიუ-იორკ. ჰერალდს“ ატყობინებენ ვაშინგტონიდგან: „მანდატი სომხეთზედ ამერიკის სენატს ჯერ არ დაუმტკიცებია, მაგრამ სომხეთის ახალ რესპუბლიკის გუბერნატორად მაინც დანიშნა გენ. ჰარბორდი. პოლკ. ჰასკელი კი, რომელიც ამიერ-კავკასიის უმაღლეს კომისრად იყო დანიშნული, ძალიან თანამდებობას მიიღებს აღმოსავლეთში. იგივე გაზეთი იუწყება, რომ ამერიკული ჯარების ერთი ნაწილი უკვე წამოსულა სტამბოლიკენ.

ბათუმი

მოხალისეთა წრეები და მაჰმადიანთა რეზოლუცია

ბათუმის „მოხალისეთა“ წრეებში დიდი მღელვარება გამოიწვია ქართველ მაჰმადიანთა რეზოლუციამ საქართველოსთან შეერთების შესახებ. „ნაშ კრაის“ უკანასკნელი მეთაური დაბეჯითებით მოითხოვს ბათომში გამოგზავნილი იქნას მოხალისეთა ფლოტი.

ფიქრობენ, რომ ბათომი შეიქნება ახლო მომავალში მწვავე დავის საგნად.

საალყო წესები

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ბათომში საალყო წესები ყოფილა გამოცხადებული. აკრძალულია 10 საათის შემდეგ ქუჩაში გამოსვლა და ქუჩებში შეკრება 6 კაცზე მეტისა. ნებადართულია შეკრება საყდრებში და საქალაქო (საბჭოში) სათათბიროს შენობაში. მატარებლები დაიარებიან [illegible], ღამე მატარებლის ვაგონებში სინათლეს აქრობენ. ბაქანზე დარაჯებია დაყენებული.

საალყო წესები გამოიწვია გახშირებულმა ძარცვამ, რომელიც მძინვარებს იქ მიუხედავად მძარცველების სასტიკი დევნისა.

დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

ენკენისთვის 6.

ოპერატიული ცნობები

მოსკოვი. 5 სექტემბრის ც. ე. ქ. ბ. ბიულეტენი.

დასავლეთის ფრონტზე ფინლიანდიის ყურეში მტრის სამხედრო გემები ყუმბარებს უშენენ კოპორის ნაპირებს.

დვინის რაიონში

დვინის რაიონში დვინსკის სამხრეთით მდ. დასავლეთ დვინის მარცხენა ნაპირზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. პოლოცკის რაიონში ჩვენმა ჯარმა აილო სადგური ზიაბვი, მაგრამ მტრის განახლებული იერიშის გამო იძულებული გახდა დაეტოვებია. ბობრუისკის და ლუნინეცის მიმართულებით ბრძოლა სწარმოებს.

სამხრეთ დასავლეთის ფრონტი. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაუტოვეს ქ. კიევი და გამაგრდნენ ახალ პოზიციაზე ჩერნიგოვის სამხრეთით 20—30 ვერსის მანძილზე.

სამხრეთის ფრონტი. სუმის მიმართულებით ცხარე ომი სწარმოებს კოროჩის ჩრდილოეთ. სუჟის რაიონში ჩვენმა ჯარებმა დაიპყრეს სოფლები 15—20 ვერსით სამხრეთ დასავლეთით (?) ხელში ჩავიგდეთ 2 ზარბაზანი. ნოვო ოსკოლის რაიონში ჩვენი რაზმები ენერგიულად განაგრძობენ წინსვლას ნოვო ოსკოლისაკენ. ევსტრატოვის მიმართულებით, სადგურ პოდგურ ჰოდგორნოესთან ბრძოლის დროს, ხელთ ვიგდეთ 2000 ტყვე 2 ტყვიისმფრქვეველი, ვინტოვკები და დიდძალი პატრონები. ბოგუჩარის მიმართულებით ჩვენი ჯარები იბრძვიან 20 ვერსით ჩრდილოეთით და 50 ვერსით ჩრდილო-აღმოსავლეთით ქ. ბოგუჩარიდან. უსტ ბუზულუკის მიმართულებით ჩვენი წინსვლა გრძელდება. ცარიცინის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლით წინ წაიწიეს და 25 ვერსზე მიუახლოვდენ ქ. ცარიცინს.

აღმოსავლეთის ფრონტი.

ცარიცინის რაიონში ჩვენმა ჯარებმა აიღეს პოკროვსკოე-კიაზოვკა 40 ვერსის მანძილზე ცარიცინის აღმოსავლეთით და ენერგიულის ბრძოლით განაგრძობენ წინსვლას ცარიცინისაკენ. ყიზლიარის მიმართულებით, ბუგოვინის რაიონში, 75 ვერსის მანძილზე სამხრეთ-დასავლეთით ასტრახანიდან ჩვენმა ჯარებმა განაახლეს წინსვლა. ორენბურგის რაიონში ჩვენი ჯარი ენერგიულად მიიწევს აქტიუბინსკისკენ, ორსკის რაიონში აიღეთ მთელი წყება სოფლებისა 20—40 ვერსის მანძილზე ორსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით და 60—75 ვერსის მანძილზე ჩრდილოეთით. დამატებითი ცნობების მიხედვით ორენბურგის მსროლელთა მეხუთე დივიზიის დატყვევების დროს, რომელიც მოხდა ორსკის მახლობლად, ჩვენმა ჯარმა წამოიყვანა 2000 ტყვე, 17 ტყვიისმფრქვეველი, 2000 ვინტოვკა 228 ცხენი, 200000 პატრონა და სხვა მრავალი სურსათი.

ინგლისურის პრესა.

დეკრეტები ამნისტიის შესახებ.

გამოიცა 3 დეკრეტი სამოქალაქო, სამხედრო და ფისკალურ საქმეების ამნისტიის შესახებ.

მექსიკის ელჩი იტალიაში.

ნიტტიმ მექსიკის ელჩი გენერ. ამლორსი მიიღო.

გენ პერშინგი.

ბრესტიდან იუწყებიან, რომ ამერიკის გენ. პერშინგი ფოშს გამოეშვიდობა და სამშობლოში დაბრუნდა.

პოლონელების სამხედრო დავლა.

ვარშავიდან ოფიციალურად იუწყებიან, რომ 8 აგვ. 25 აგვისტომდე ბოლშევიკების ფრონტიდან დავლად წაუღიათ: 465 ვაგონი, 24 ორთქმავალი 2 ჯავშნიანი მატარებელი, 15 ზარბაზანი, ამუნიცია, და მრავალი სამხედრო მასალა: ტყვედ წამოყვანილია 50 ოფიცერი, 8700 ჯარისკაცი.

ტურინის გამოფენა.

ტურინში ახლო მომავალში გაიხსნება ეროვნული ხელოვნების გამოფენა. გამოფენის გახსნას დაესწრება სახალხო განათლების მინისტრი.

ვენეციის ეროვნ. გამოფენა.

ვენეციის მუნიციპალურმა საბჭომ მე-12 ეროვნული გამოფენის გახსნის დროდ დანიშნა 1920 წლის აპრილის 15, გამოფენა 1920 წლ. 31 ოქტომბრამდე გასტანს. გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ: ბელგია, ბოგემია, დანია, საფრანგეთი, დიდი-ბრიტანია, ნორვეგია, ნიდერლანდია, პოლონეთი და შვეცია. მოლაპარაკება სწარმოებს ისპანიასთან, შეერთებულ შტატებთან და შვეიცარიასთან. გამოფენის საერთო წესრიგს მოკლე ხანში გამოაქვეყნებენ.

იტალიის მსხვერპლი საერთაშორისო ომში.

გაზეთი „სვენსკა-დაგბლადეტ“-ს მოყავს ფინანსიური სიძნელის და მსხვერპლის ანგარიში, რომელიც იტალიის ჯარმა და მისმა სამხედრო და კომერციულმა ფლოტმა გადაიტანა. შვეციის გაზეთი განიხილავს ყველა ამ ცნობებს, როგორც მაგალითის ომის ისტორიისას, რომელიც დამყარებულია ციფრებზე და სწერს: მოკავშირეები წააგებდნენ ომს 1915 წელში თუ რომ იტალიას არ მიეღო მონაწილეობა მასშიო.

რეშენის რკინის გზას იტალიას უთმობენ.

უმაღლესი საბჭო დასთანხმდა ტიტონის წინადადებაზე, რომ ავსტრიამ უკომპენსაციოდ უნდა დაუთმოს იტალიას რეშენში რკინის გზა, რათა იტალიის ადმინისტრაციას საშუალება ექნება დაუყოვნებლივ ისარგებლოს მით.

იტალიელი მფრინავები.

ნიდერლანდიის მეფის მეუღლე, რომელიც ამსტერდამში საავიაციო საერთაშორისო გამოფენას დაესწრო, ესაუბრა იტალიის განყოფილების წარმომადგენელს და მრავალი ქება შეასხა იტალიის ავიატორებს. მიუხედავად ძლიერი ქარისა მფრინავები სვაკორპონი და ბოლოლა გაფრინდნენ, ფრენამ მშვიდობიანად ჩაიარა.

სკულპტ. კანოვის ანდერძი

პონსაზიონში ავსტრიის ყუმბარების მიერ დანგრეულ სახლში იპოვეს ცნობილ სკულპტორის კანოვის ანდერძი, რომელიც შედგენილია 1809 წელს, ე. ი. მის სიკვდილამდე 13 წლით ადრე. ვენეციის მუნიციპალიტეტმა თავისთვის მიიღო ამ ძვირფას საბუთების მზრუნველობა.

ყურძნის და ღვინის შეტანის აკრძალვა იტალიაში.

სტეფანის სააგენტო უარჰყოფს იმ ხმებს, თითქოს მთავრობას ღვინის და ყურძნის გატანა აეკრძალოს, პირიქით აკრძალვა ეხება მხოლოდ შემოზიდვას.

მოკავშირენი და ავსტრია-გერმანია

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ სწორი არ არის ის ცნობები, ვითომ მოკავშირეებს სურთ ავსტრიის რესპუბლიკას დახმარება გაუწიონ ფინანსიური ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ოფიციალურად უარჰყოფენ აგრეთვე დამოუკიდებელთა ცნობას, ვითომ ზემო სილეზიაში გერმანელები მკაცრად იქცეოდნენ.

ბავარიაში.

ბავარიაში საბჭოთა მთავრობის სასარგებლოთ გამოსვლებს მოელიან. სპარტაკელთა საქმიანობა იზრდება. მიუნხენში მთავრობამ ტყვიის-მფრქვევლები გამოაწყო. ბავარიაში უმუშევრობა ძლიერდება

ჩინეთში

ჩინეთში ბოლშევიკთა აგიტაცია ძლიერდება. შანხაი ჩინეთის ბოლშევიკურ ცენტრს წარმოადგენს, რომელიც გავლენას ახდენს მთელ ჩინეთში.

ლიანოზოვის და ინგლისის ხელშეკრულება.

ინგლისმა ცნობილ მილიონერის და ნავთის მრეწველის ლიანოზოვის ჩრდილოეთ-დასავლეთით თეთრ მთავრობასთან ფარული ხელშეკრულება დასდო, რომლის ძალით მას ევალება დაეხმაროს საბჭოთა მთავრობასთან ბრძოლაში, განსაკუთრებით პეტროგრადზე იერიშის დროს და მოაწოდოს მას ამუნიცია, ტანკები ჰაეროპლანები და აგრეთვე გავლენა მოახდინოს გერმანიაზე, რომ გამოიგზავნოს რუსეთის სამხედრო ტყვეები გერმანიიდან ლიანოზოვის რაზმში ჩასაწერად.

გადასახადები თბილისის მაზრაში

ამ ჟამად რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების მიერ შემუშავებულია რამდენიმე ნაირი გადასახადი, რომელიც ზოგი თვითმართველობის სასარგებლოდ მიდის ზოგიც რესპუბლიკის სასარგებლოდ. გადამხდელისთვის, მეტადრე სოფელში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ მან ერთბაშად იცოდეს რაოდენობა იმ გადასახადისა. რომელსაც მას ჩვეული წლის განმავლობაში მოსთხოვენ, ამით მას შეძლება ექნება თავის ოჯახური შემოსავალ-გასავალი ივარაუდოს. მას ეჯავრება რომ მთელი წყება გადასახადის ფურცლებისა მიდის სხვა და სხვა დროს, არ იცის როდის რას მოსთხოვენ. ყველა ეს მიიღო მხედველობაში თბილისის მაზრის ერობამ და კანონით ნება დართული საერობო გადასახადები დაუკავშირა და საფუძვლად დაუდო გადასახადს მიწაზე (კანონი 27 მაისისა), ერთდროული გადასახადი მიწაზე ეხლანდელ პირობებისდაგვარად აშენებულია გადამხდელის შეძლების (მიწის რაოდენობის) მიხედვით; ამიტომ სამართლიანია სხვა გადასახადიც (სასანიტარო) ამაზე იყოს დამყარებული. თვით ერთდროული გადასახადი მიწაზე მთლიანად შეტანილი იქნება ხაზინაში. მთელ მაზრაში ერთდროული გადასახადი

მიწაზე, თანახმად 27 მაისის კანონის ნორმებისა—გაწერილია ექვსი მილიონი მანეთი, მაზრის ერობამ, 18 ივლისის დეკრეტის ძალით (ერთდროული სანიტარული გადასახადის მუხ. 2 ასო გ.) სანიტარულ გადასახადათ გააწერა ერთი მესამედი ერთდროული გადასახადისა და 1920 წლის 1 თიბათვემდე ხარჯებისათვის (ერობის ვარაუდი შედგენილია 1919 წლის 1 თიბათვიდგან 1920 წლ. 1 თიბათვემდე) ერთი მეექვსედი ამავე გადასახადისა (თანახმად ერობის საბიუჯეტო წესების მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტისა) ამნაირად მაზრაზე საყოველთაო გადასახადი მოდის: ერთდროული 6 მილიონი, სანიტარო 2 მილიონი (ერთი მესამედი ერთდროულისა) და 1920 წლ. 5 თვის ხარჯებისთვის 1 მილიონი (ერთი მეექვსედი ერთდროულისა) სულ 9 მილიონი მანეთი. ამ გადასახადების ვადაა: 2 მილიონისა (სანიტარული) 15 ენკენისთვეს 6 მილიონისა (ერთდრ. მიწაზე) ნახევარი 1 გიორგობისთვეს და ნახევარი 31 ქრისტეშობისთვეს და 1 მილიონი 30 იანვარს 1920 წ. ყველა საყოველთაო გადასახადები განისაზღვრება ზემოაღნიშნულით. მაზრაში ითვლება 20 ათასი კომლი, საშუალოდ კომლზე მოდის 450 მანეთი. ომამდე მაზრაში იკრიფებოდა 184 ათასი მანეთი და კომლზე მოდიოდა 9 მ. 20 კ. სულ ცოტა ომამდე ცხრა მანეთად ხუთ ფუთ ხორბლის ყიდვა მაინც შეიძლებოდა. ეხლა 450 მან. სამ ფუთ ხორბალს ვერც კი იყიდის ადამიანი. აშკარაა გადასახადის სიმძიმეზე მეტია ლაპარაკი, მაგრამ თავისთავად 9 მილიონი ხალხის თვალში დიდათ ჩანს. ყოველნაირ სიფრთხილესათვის ამ ჟამად მაზრის ერობის გამგეობის წევრები თემების დახმარებით სოფლებში დადიან და საჭირო განმარტებებს აძლევენ ხალხს. უწინდელი გადასახადით მთავრობა თავის თვითმყრობელურ პოლიტიკას აწარმოებდა; ეხლა ხალხს აქ გადასახადებით ექნება: 1) მაზრაში სრულიად უფასო წამლობა და ექიმობა (მაზრაში ამ ჟამად მუშაობს 10 ექიმი, 15 ექიმის თანაშემწე და 9 ბებია ქალი), 2) უფასო სწავლა 130 მასწავლებელი, გამართული იქნება მოძრავი სახ. უნივერსიტეტი, მოწყობილი იქნება სამკითხველოები, საბავშვო დღესასწაულები და ექსკურსიები; 3) უფასო საექიმო დახმარება (4 საექიმო ამბულატორია) საქონლის ექიმის ასაცრელი ფასი იქნება მხოლოდ შრატის ფასი და ამ ფასის 20 პროც.; 4) უფასო აგრონომიული დახმარება (3 აგრონომი, 2 ინსტრუქტორი) საჩვენებელი მინდვრები და სხ.) და სხვა.

ზემოაღნიშნულ საყოველთაო გადასახადების გარდა არის კიდევ კერძო ხასიათის გადასახადები, სახელდობრ ტელეფონის გაყვანა მაზრაში მთელ მაზრაზე გაწერილია 120000 მანეთი—იკრიფება იმ სოფლებიდგან სადაც ტელეფონების აპარატები იდგმება; სკოლის შენობათა შესაკეთებლად—იმ სოფლებზე გაწერით სადაც შენობები ამ შეკეთებას საჭიროებენ; გზების გასაყვანად განზრახულია მაზრაში 120 ვერს გზის შეკეთება და გაყვანა ნატურალური და ნაწილობრივად ფულის გადასახადით იმ სოფლებიდან, რომლებიც უფრო სარგებლობენ ამ გზებით. გზების ნატურალური და ფულის გადასახადი შეფასებულია 4323 მანეთად.

კერძო შემძლებელ პირებზე და მოვაჭრეებზე არის კიდევ გადასახადები: შემოსავლის კვალობაზე და დამატებითი სამრეწველო, ეს გადასახადები სახელმწიფო სასარგებლოდ მიდის და გაიწერება და აიკრიფება დამოუკიდებლად გადასახადთა ინსპექტორის განკარგულებებით; სანიტარო გადასახადისთვის შემუშავებულია დარგების მიხედვით ნორმები სხ. და სხ. გვარი და სამრეწველო დაწესებულებებზე, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება ერობის საბჭოს ამ თვის გასულს. ქალაქ გარედ არსებულ სავაჭრო-სამრეწველო და ზოგიერთ საცხოვრებელ შენობებზე (10000 მ. ზევით ღირებული) გადასახადი არის ერობის სასარგებლოდ და იკრიფება ერობის განკარგულებით.

წერილი ქართლიდან

2.

ამის წინად ჩვენ გაზეთში ვწერდით დ. ცხინვალის სარაიონო ადმინისტრაციისა და ერობის მავნე მოქმედების შესახებ,—და ხაზს ვუსვამდით იმ გარემოებასაც, თუ როგორ ურთიერთობაში არიან ამ ხეობის ოსები ქართველებთან. ყველა ეს საკითხები, როგორც ამ მხარისათვის, ისე სრულიად საქართველოსათვის, მეტად ღირს-შესანიშნავია და საჭიროდ ვსთვლით ერთხელ კიდევ მივაქციოთ ამ მხარეს მთავრობის ყურადღება, რომ შემდეგ უცოდინარობითა და მოულოდნელობით არ ახსნან ის ამბები, რომლის მოწამენი ცხინვალის მხარეში ვიყავით და რომლის განმეორება ადვილად მოსალოდნელია...

ოსების მხარე, ჯავის ხეობა, უდავოდ ავტონომიურ ერთეულს წარმოადგენს, იქით გავლისა ან გადახედვისათანავე თქვენ უსათუოდ სხვა, უცხო სახელმწიფოს სუნს იგრძნობთ. კანონისა და სამართლის, წესწყობილების, თუ სწავლა-განათლების, შინაურ თუ გარეულ საქმეების ვითარება ჯავის ხეობაში სრულიად უკონტროლოა, უკეთ რომ ვსთქვათ, თავისებური, ცალკე სახელმწიფური. საქართველოსა და მისი მთავრობის არსებობაზე ლაპარაკი ხომ სულაც არა სურთ, იგი არცა მგონიათ არსებულად და სხვა და სხვა ქორებით ასაზრდოებენ გამოყრუებულსა და არაფრის მცოდნე ოსობას. ასე ხდება იქ, სადაც განსაკუთრებით ოსები მოსახლეობენ, სადაც ყოვლისფერი საქართველოსია, მაგრამ ისინი საქართველოსთვის არა ხმარობენ.. მაგრამ ოსების უპასუხისმგებლო სიამაყე ჯავის ხეობაში არ იწურება და ისინი ცხინვალზეც დიდს პრეტენზიებს აცხადებენ. არ არის თითქმის ერთი დაწესებულებაც კი, სადაც ოსებს თვალსაჩინო ადგილები არა ჰქონდეთ ხელში ჩაგდებული. ეს გარემოება კი იმდენად მათ მხრივ არ არის საკვირველი, რამდენადაც მიმღებთა მხრივ. შეიძლება გთხოვდნენ ბევრ რამეს, მაგრამ ის შენი საქმეა, აუსრულებთ, თუ არა. ასეა აქაც: ადმინისტრაციის, განათლების, ერობის, ფოსტის თუ სხვა საქმეების გამგენი უხვად სწყალობენ ოსებს და პირდაპირ ხელს უწყობენ მათი იდეალების განხორციელებას; ცხინვალის მილიციის შესამჩნევი ნაწილი ოსობისა, რომელიც სხვათადმი ლვარძლით არის აღსავსე და რომლის გამოყენება ისეთის მოთავეებს საქართველოს იარაღით საქართველოს წინააღმდეგ ყოველთვის შეუძლიათ. ერობაშიც ოსებს საჭირო ადგილი უჭირავთ. და სწორედ ამ ადგილით სარგებლობენ ისეთ შემთხვევებში, რაც მათთვის სასარგებლოა. თორემ ერობისა და სოფლის საქმეები მათ არ აინტერესებთ. აი მაგალითიც: ცხინვალში უნდა გაიხსნას ოსური კერძო გიმნაზია, რის თავისაც, რასაკვირველია, შენობაა საჭირო. ოსებმა საჭიროდ დაინახეს ერობის საშუალებით რეკვიზიცია მოახდინონ იმ შენობისა, რომელშიაც ფოსტაა მოთავსებული, უკანასკნელს კი დაუთმონ სხვა სახლი, რომელიც მეტად მიუდგომელსა და უხერხულ ადგილას არის;—და ამავე დროს ჰპირდებიან იმ სახლამდე გზას გავიყვანთო!.. ამ აზრს სხვებიც დაეთანხმნენ, მაგრამ, რატომ კარგა არ დაფიქრდებიან ასეთი აზრის დაბადების დროს!.. თუ ფოსტისათვის განზრახულ სახლს გააკეთებენ და გზას გაიყვანენ, არა სჯობიან კერძო, ოსური გიმნაზიაც იქ მოათავსონ და ფოსტა კი თავის ალაგს დასტოვონ; ეს სახლი ხომ გიმნაზიისათვის უფრო გამოსადეგია, ვიდრე ფოსტისათვის. გარდა ამისა, სად გაგონილა, რომ ერობა კერძო სასწავლებლისათვის აწარმოებდეს ისეთი ხარჯის გაწევას, რაც მის თანხასა და საქმიანობას დიდ ზარალს მიაყენებს.

ასევე იქცევიან თეატრის საქმეშიაც. ცხინვალში არსებობს დრამატიული წრე, რომელიც წარმოდგენებს აძლევს ორნაირ სცენის სასარგებლოდ. მართავს ხოლმე და რომელშიაც ოსებს ყველაზე დიდი ადგილი უჭირავთ. მიუხედავად ამისა ოსებს თითქმის ერთი წარმოდგენაც არ გაუმართავთ ამ სცენის სასარგებლოდ მაშინ როდესაც თავიანთვის მრავალ წარმოდგენებს აწყობენ... მაშ ასეთ შემთხვევაში მათ წარმომადგენელს რა ადგილი უნდა ჰქონდეს იქ, სადაც არც მისი საქმე და არც ქცევა იმ ორგანიზაციას არ შეეფერება.

აი, ასეთგვარ სანახაობას წარმოადგენს ოს-ქართველთა ურთიერთობა. ფორმით ერთ სახეობა, საქმით კი ოსების სასარგებლო სხვასხვაობა და ქართველნიც თავწაღუნულნი მისდევენ მათ; „ამხანაგისა" და „ინტერნაციონალობის" სახელებში ადრჩობენ ქართლის ცენტრის მცხოვრებთ და სრულიად ივიწყებენ მათ გარშემო მოხვეულ სოფლელთ, რომელნიც ყოველ კვირა უქმე დღეს ათეული ვერსით დაშორებულ სოფლებიდან ჩამოდიან და ამ მოუსავლობის წლით შეწუხებულნი ერობას შველასა სთხოვენ.. მშველელი კი „მუშაობს" მაგრამ ღმერთმა იცის „ვისთვის მუშაობს".. და ამ მუშაობის დასაგვირგვინებელი ფაქტი ის არის, რომ ერობას სარევიზიო კომისიის წევრად აირჩიეს თვით ერობის ბუღალტერი. ასეთი გამახარაგება გაგონილა?! ნუ თუ ოდნავი ცოდნა არ არის იმისა, რომ თავისი თავის რევიზორობა—ეს ქვეყნისათვის დათვური სამსახურის გაწევა არის!.. და ამის შემდეგ კიდევ იტყვიან: ჩვენ ვმუშაობთ, ხალხს ვეხმარებითო..

ადმინისტრაციისა ხომ აღარაფერი ითქმის გარდა ლოთობისა, ქუჩაში ლანძღვა გინებისა და ჯანხალი, თუ ავადმყოფი ხალხის ცემისა ისეთ საქმეებზედაც კი, რაშიაც თვით არიან დამნაშავენი. აქ თქვენ ვერ გაარჩევთ, რომელია კომისარი და რომელი მილიციონერი; ერთმანეთს ისე ექცევიან, თითქოს თანატოლი და თანაშეზრდილი ამხანაგები არიანო; უფრო მეტიც: აქ მილიციონერია ბატონი, სხვები კი მისი დამხმარენი არიან... და როდესაც ასეთ შეცდომაზე მიუთითებ—„შენ რა შენი საქმეაო"—თი გამოგისტუმრებენ..

სოფელი კი ჰკვნესის... თავისუფლება მას სატანჯველი რამ ჰგონია; თავისუფლება ბატონ ყმობაზე უარესად წარმოუდგენია... ერთი მილიციონერის თავხედობის დროს, კვირას, მარიამობისთვის 31, კომ. სარაიონის წინ მოგროვილმა ხალხმა ასეთი სიტყვები შემოძახა კიდეც კომისრის თანაშემწეს: და არცა სტყუოდნენ ხალხს ისე ექცევიან, მას თავისუფლება ბოროტებად მოუვლინეს და მანაც ასეთი აზრები ჩაიდო.. მიხედეთ, კარგის ქცევით მიეცით სხვა რწმენა, თორემ მერე გვიანღა იქნება..

მიხ. კიკოზაშვილი.

განაჩენი

სამედიატორო სასამართლოსი სტეფანე გაგუასი და შალვა ჩიჩიას შუა

ქ. ფოთი, საქალაქო თვითმართველობის შენ., აგვისტოს 26, შ. შალვა ჩიჩიამ გაზ. „ერთობის" № 141, 1919 წ. ივნისის 28-ს დასტამბა წერილი სათაურით „სამეგრელოს ავტონომისტები", რომელშიაც პედაგოგს ბ. სტეფანე გაგუას სხვა და სხვა ბრალდებები დაუყენა. ბ. გაგუამ ეს ბრალდებანი უსაფუძვლოდ და უსამართლოდ ჩასთვალა და გამოიწვია კორესპონდენტი სამედიატორო სასამართლოში. შ. ჩიჩიამ ეს წინადადება მიიღო და მხარეებმაც აირჩიეს მოსამართლენი: სტ. გაგუამ—სოლომონ ხოშტარია და სპირიდონ მესხიძე, შ. ჩიჩიამ—ლუკა დავითაია და მელიტონ მგალობლიშვილი. არჩეულმა ოთხმა მოსამართლემ თავის მხრით სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩიეს გრიგოლ დიასამიძე და მოიწვიეს ის თბილისიდან. ამ შემადგენლობით სასამართლომ დაიწყო საქმის წარმოება საღამოს, აგვისტოს 23-ს, სხდომები იმართებოდა დილასა და საღამოს აგვისტოს 24 და 25 ს, ხოლო აგვისტოს 26 ს მხარეებმა აირჩიეს დამატებითი კიდევ ორი მოსამართლე: სტ. გაგუამ მიხეილ ესაკია და შ. ჩიჩიამ—სოფრომ ხოშტარია. ამ უკანასკნელი შემადგენლობით სასამართლოს ჰქონდა სხდომა აგვისტოს 26-ს, როდესაც საღამოს 6 საათზე გამოიტანა ეს განაჩენი.

ამ სხდომაზე სასამართლომ გამოიკვლია ყველა გამოცხადებულ მოწმეებს საქმის გარემოება, გაეცნო, გარდა არ გამოცხადებულ პირების წერილობითი ჩვენებანი, აგრეთვე ორივე მხრისაგან წარმოდგენილი წერილობითი შემოწმებული და შეუმოწმებელი საბუთები და განცხადებანი, გაეცნო, გარდა ამისა, ყველა იმ წერილებს, რომელნიც დაიბეჭდა ჟურნალ გაზეთებში „მაფალუს" დაარსების გამო. ყოველივე ეს წერილობითი და სიტყვიერი მასალა სასამართლომ აწონ-დასწონა, გამოარკვია, შეაფასა მისი არსებითი შინაგანი ღირებულების მხრით და ერთხმად დაასკვნა:

როგორც სჩანს გამოძიებიდან, რომელიც აწარმოვა სასამართლომ, ქ. ფოთში დაახლოვებით 1918 წლის ნოემბერს, თუ დეკემბერს დაარსებულა პატარა ჯგუფი, რომელშიაც, სხვათა შორის, მიუღია მონაწილეობა მცხოვრებ პედაგოგს ბ. სტეფანე გაგუას, როგორც ერთ-ერთ თაოსანს ამ ჯგუფს მიზნად დაუსახავს სამეგრელოს ისტორიის, არქეოლოგიის, ზნეჩვეულების და ენის შესწავლა, პერიოდულ და სხვა გამოცემათა ბეჭდვა მეგრულ ენაზე და საზოგადოდ საგანმანათლებლო საქმის მოწყობა ამ კუთხეში. ასე ხსნა ან დაწყებულ საქმეს თვით ამ ჯგუფის დამაარსებელნი. ამ ჯგუფის პოლიტიკური ხასიათი გამოძიების მასალით ვერ დამტკიცდა.

1919 წ. აპრილის 17 ქ. ახალ-სენაკში დაარსდა მეორე ჯგუფი დაახლოვებით იმავე მიზნით, უმეტესად ახალგაზრდობისაგან შემდგარი, სტუდენტ მიხეილ კანკავას და მის ძმის ალექსანდრეს თაოსნობით. ამ მეორე ჯგუფისთვის საქმის დაწყებით დაურქმევიათ სახელად „მაფალუ", რაიც ქართულად ნიშნავს გაფურჩქვნას და შემდეგ აყვავილებას. ამ ჯგუფის თავმჯდომარედ მიხ. კანკავას განცხადებით, ყოფილა პედაგოგი ბ. ლადი გაგუა, რომელიც, როგორც გამოირკვა, სრულიად ნათესავი არ ყოფილა ზემოხსენებულ სტ. გაგუასი. როგორც სჩანს გაზეთების კორესპონდენციებიდან და ზუგდიდის სოციალ-დემოკრატიულ, სოციალ-ფედერალისტთა და სოციალ რევოლუციონერთა პარტიების ორგანიზაციების, აგრეთვე შავი ზღვის რკინის გზის მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის შემოწმებულ მოწმობებიდან „მაფალუს" თავმჯდომარის ამხანაგს სტუდენტს მიხეილ კანკავას განზრახული ჰქონია ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწის იონა მეუნარგიას დასაფლავებაზე სოფ. ცაიშში მეგრულად წარმოეთქვა „მაფალუს" სახელით პოლიტიკური შინაარსის სიტყვა სამეგრელოს პოლიტიკური ჭყიბილების შესახებ, რომლიდანაც ყველას შეეძლო გამოეტანა ის დასკვნა, რომ „მაფალუს" უნდა ჰქონოდა პოლიტიკური ჯგუფის ან პარტიის ხასიათი. ეს პოლიტიკური—ხასიათი „მაფალუს"-ის სასამართლოს წინაშე სამოწმე ჩვენების დროს უარჰყო სტუდ. მიხ. კანკავამ და განაცხადა, რომ ჯგუფს ჰქვიან სახელად „სამეგრელოს კულტურის მოყვარე ჯგუფი „მაფალუ". ეს საკითხი სასამართლომ ვერ გამოარკვია, რადგანაც მის პირდაპირ საგანსა და კომპეტენციას არ შეეხებოდა. სასამართლო იმედს გამოსთქვამს, რომ ამ საკითხს, როგორც ყველა ამგვარ საკითხებს, ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციები საქმეს სავსებით გაამუქებენ და სისწორით გამოიძიებენ და გამოარკვევენ.

ფოთის ჯგუფსა და „მაფალუს" შორის არსებობდა ურთიერთობა, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ფოთის ჯგუფის სხდომებს ესწრებოდა „მაფალუს" წარმომადგენელი მიხ. კანკავა, და საერთო წესდების დირექტივების შემუშავებაში იღებდა მონაწილეობას. მიხ. კანკავა შეთანხმებულა ფოთის ჯგუფთან, რომ მათ ექნებათ მხოლოდ კულტურული მიზნები. ხსენებულ წესდების პროექტის საბოლოო რედაქცია შეიტანა თბილისში მიმავალ პედაგოგს ბ. სერგო დანელიას, რომელსაც შემდეგ ეს პროექტი უნდა დაებეჭდა ერთ-ერთ გაზეთში.

სასამართლო აგრეთვე საჭიროდ ჰრაცხს აღნიშნოს, რომ სასამართლოს საქმის წარმოების დროს არ დამტკიცდა, რომ სტეფანე გაგუას მიეღოს მონაწილეობა ქ. ახალ სენაკში არსებულ „მაფალუს" ჯგუფის საქმეებში. გარდა ამისა არ დამტკიცდა ისიც, რომ სტეფანე გაგუა და მისი ჯგუფი მოითხოვდეს სამეგრელოს ან კულტურულ ეროვნულ ან ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიას. სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოხსენებულ ჯგუფების დაარსებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოების ფართო წრეებში. ეს მითქმა-მოთქმა გაძლიერდა მეტადრე მიხ. კანკავას სიტყვის შემდეგ იონა მეუნარგიას დასაფლავების დროს.

გასაკვირველი არ არის, რომ დაშინებულმა რუსის ძველი რეჟიმის აგენტებისაგან გამოგონილ მეგრელების დანაწილების ქართველებისაგან გამოთიშვის ზრახვით, ჩვენმა საზოგადოებამ „მაფალუს" ამბავი მიიღო ზარდამცემ ამბად, თითქოს დაიბადა მეგრული სეპარატიზმი.

სასამართლო ვერ დამალავს იმ გარემოებას, რომ მეგრულ ჯგუფის დაარსებამ და მათ გარშემო ამტყდარმა სამწუხარო მითქმა-მოთქმამ შექმნა ისეთი ნიადაგი, რომელშიაც ადვილად შეიძლება გამთიშველმა აზრებმა ფესვი გაიდგას და დაჰბადოს წარმოდგენა, თითქოს მეგრელები ცალკე ხალხს, ეროვნებას წარმოადგენენ დანარჩენ ქართველებისაგან. ამისთანა ნიადაგს შეუძლია მიიზიდოს სხვა და სხვა ჯურის ავანტიურისტები სათარეშოდ და თავიანთ ბნელ საქმეების გამოსაწყობად.

აი სწორედ ამ საშიშროებამ, გულსაკლავმა პერსპექტივამ ბევრი შეგნებული ქართველი მოქალაქე და მამულიშვილი სამართლიანად ააშფოთა და აიძულა, როგორც ზემოხსენებულ ჯგუფების, ისე მის დამაარსებელთა წინააღმდეგ გამოსვლა, უეჭველია, სწორედ ასეთმა შიშმა მიაცვა ახალგაზრდა შალვა ჩიჩიაც და გააბედვინა მას თავის სახელის არდამალვით გაზეთის ფურცლებზე გამოსვლა. შ. ჩიჩია თავის გამოსვლის დროს, ცხადია, არ ხელმძღვანელობდა რომელიმე პირადი ინტერესით, არამედ მას ამოძრავებდა მთლიან და საერთო საქართველოს ნორჩი სახელმწიფოებრივობის ბედ-იღბალი. მან გამოიტანა გაზეთის ფურცლებზე მხოლოდ ის, რაც მის გარშემო საზოგადოებაში ისმოდა.

პრესაში საკითხის საშუალებაა ყოველივე უკუღმართობის გამოსაფენად და გამოსარკვევად. ყოველთვის შესაძლებელია შემდეგ ჭეშმარიტების აღდგენა. ამისთვის მრავალი გზაა და ერთ ერთი მათგანი დღევანდელი სასამართლო, რომელიც მოსამართლეთა სინდისის თანახმად ერთხმად აღიარებს, რომ თავმოყრილმა მის ხელში მასალამ ვერ დაუმტკიცა მას, რომ სტეფანე გაგუა შეპყრობილი იყოს მეგრული სეპარატიზმით, რომ იგი გიმნაზიაში მოწაფეებს ჰყოფდეს მეგრულ და გურულ ჯგუფებად. თვით შ. ჩიჩიამაც განაცხადა, რომ ეს ამბავი მხოლოდ როგორც ხმად გაგონილი მოიყვანა თავის კორესპონდენციაში.

რაც შეეხება მეგრულად სწავლებას, გამოირკვა, რომ სტ. გაგუა მეგრულად ბავშვებს არ ასწავლიდა გიმნაზიაში, ხოლო მეგრელ ბავშვებს მეგრულად უხსნიდა ზოგიერთ გაუგებარ სიტყვებს, რაც დანაშაულში არ ჩაითვლება პედაგოგიკის მხრით.

მხოლოდ საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ აქ, რომ სტ. გაგუამ სასამართლოს შეკითხვაზე განაცხადა: „სალი პედაგოგიური პრინციპი მოითხოვს, რომ სწავლება სკოლებში ხდებოდეს ხალხის გასაგებ ენაზე. სამეგრელოში ასეთი ენა არის მეგრული იმ ადგილების გამოკლებით, სადაც ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, მაგალითად, როგორც გორდი, საჯავახო და სხვ. ოღონდ ამაზე ლაპარაკი ჯერ-ჯერობით ნაადრევია. ისე კი დარწმუნებული ვარ, როცა საქართველოს რესპუბლიკა მოღონიერდება, თვითონ განახორციელებს ამას".

არ დამტკიცდა აგრეთვე, რომ სტ. გაგუას მიეცეს სოფლის მასწავლებლებისათვის რაიმე „ფარული დირექტივები", ესეც შ. ჩიჩიამ მოიყვანა თავის კორესპონდენციაში როგორც ხმა.

შემდეგ სასამართლო შენიშნავს, რომ კორესპონდენციის სიტყვები „პროვოკატორული მუშაობა" და „ქართველ მოძმეთა შორის შუღლისა და მტრობის თესვა" სტეფანე გაგუას არ ეხება და თვით შ. ჩიჩიამაც განაცხადა, რომ ამ სიტყვების დაწერის დროს სტ. გაგუა მას სახეში არ ჰყოლია.

აღიარებს რა ყველა ამას, სამედიატორო სასამართლო გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ ამის შემდეგ მაინც გაქრება უსაფუძვლო ხმები ამ განაჩენში აღნიშნული საგნის გამო, და მოისპობა ის ვნებათა ღელვა, რომელიც ზარალს, უბედურების და დანგრევის მეტს არაფერს სხვას არ უქადის ჩვენს ნორჩს რესპუბლიკას და ამავე დროს სიხარულსა და ჩვენთვის მავნე ნატვრას უღვიძებს საქართველოს ხალხის და მათ შორის მეგრელების საერთო მტრებს.

მთელი მასალა, შეგროვილი სასამართლოს მიერ ამ საქმეზე და ოქმები სასამართლომ გადასწყვიტა გადასცეს ქ. თბილისში ქართულ ისტორიის და ეთნოგრაფიის საზოგადოებას.

სასამართ. თავმჯდ. გრ. დიასამიძე.

სასამართლოს წევრნი: ს. ხოშტარია, მ. ესაკია, სპ. მესხიძე, ლ. დავითაია, სოფრომ ხოშტარია, მ. მგალობლიშვილი.

სახლის პატრონების გაუმაძღრობა

(წერილი რედაქციის მიმართ)

თბილისში არსებობს ახირებულ სახელიანი ქუჩა—მინკვიცევისა და ამ ქუჩაზე სახლი აქვს ვინმე ახირებულსავე „ხოხიენს", ბ-ნ მაგალიანცს ანუ მაკაკიევს. ისე არ შემოსდგამს თავის უზარ მაზარ სახლში, რომ რომელსამე მდგმურს არ დაუყვიროს და ან არ წაეჩხუბოს. ეს ცოტაა კიდევ. ძალიან მადლი გახსნია, რომ ქირები მოუმატოს. ჯერ იყო და მაისში უმატა ბინის ფასებს, მაგრამ მისი დაწყობ ლობა ჩაიშალა მაშინ, რადგან მომატების კანონი არსად იყო თურმე და თვითონ ბობისა შეეშინდა ალბათ. ახლა კი ძალდა 3 ენკენისთვემდე: ამ დღეს მოიყვანა ვილაც აკოფიანცი, ვითომ ქალაქის სამმართველოდამ, მდგმურებს გამოუცხადა, ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა ქირების მომატების ნება მაქვსო, და მოუმატა, მაგრამ როგორ? თვეში ერთი—3—4—5 ად გაუხადა. გთხოვთ შეგვატყობინოთ, აქვს ნება მართლა მიეცათ სახლის პატრონებს, თუ არა, ან და თუ მიეცათ, რა ნორმა არსებობს ქირების მომატების საქმეში, მარტო თვითნებობა სახლის პატრონებისა თუ სხვა რამ კანონიერი და სამართლიანი შეფასება.

№ 83-ის მდგმური.

—

სახლის პატრონები უსათუოდ უნდა ემორჩილებოდნენ საერთო წესებს თვითმართველობის მიერ შემოღებულს და უფლება აქვთ მხოლოდ დაკანონებულ პროცენტის მომატებისა. ზედმეტის გადახდევინება და ისიც მრავალკეცად სპეკულიაციაა და ასეთ სახლის პატრონები პასუხისგებაში მიეცემიან

რედაქცია.

მიმოსვლა სახალხო მატარებლებისა

ს. ს. რკ. გზ

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს.	5
ქუთაისში	№ 10 9	სად.	8 ს.	7
ბათუმში	№ 5	სად.	5 ს.	4
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს.	56
ბათუმში	№ 1	ღამ.	11 ს.	30

მოდის თბილისში

ბათუმიდან	№ 2	დილ.	7 ს.	—
ფოთიდან	№ 4	საღ	8 ს.	45
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს.	10
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს.	30
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს.	06

თბილისი-სალოღლი

გადის სალოღლში

№ 8	საღამოს	6 ს. 5 წ.
№ 6	შუადღის	2 ს. 32 წ.
№ 4	საღამოს	9 ს. 50 წ.

მოდის სალოღლიდან.

№ 3	დილის	7 ს. 27 წ.
№ 5	ნაშუად.	3 ს. 5 წ.
№ 7	დილის	11 ს. 52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომ

გადის

№ 63	შუადღის	2 ს. 40 წ.
№ 61	დილის	7 ს. 52 წ.
№ 19,20	შუად.	3 ს. 26 წ.

მოდის:

№ 19,20	დილ.	6 ს. 30 წ.
№ 62	დილ.	11 ს. 24 წ.
№ 64	საღ.	8 ს 4 წ.

თბილისი-ხანაინა

გადის:

№ 4,3	ს. შუად.	1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3	ს. დილ.	11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და დანიშნულება არის სამგზავრო ს ფოს გადასაზიდები და მცირე წასაღ ნი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 64 იმოძრავებენ თბილისსა, ქსნ და გორის შუა: 1 წყვილი იღლის მე და კვირა დღეებში, 2 წყვილი მე და უქმის წინადღეებში.

საექიმო კაბინეტი
ექ. ა. ცუშილაშვილის
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფი და სხვა გვარ სნეულებანი ავადმყ ფები სასქესო და საშარდე ორგანო (606 და 914 წამლობა) მიხეილის ავადმყოფისთან, ფოსტის ახლოს მე ხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევ
საათ. 25-2536—

ბ. ბ. მუზრაბ
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა გულისა. იღებს ახალ [illegible] ელექტრო-წამლობის, კაბინეტი, სინჯვა და წამლობა X სხივებით დიდი სალენიიდი და [illegible] კით ფილტვების, გულის და სხვა ნაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბ უფასოთ. ყოველ დღე დილის 9- საათამდე და საღამოს 5—8 საათამ შებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი
7-92.

სასწორებლით კაბინეტი ექიმისა
[illegible]
კაბინეტი
ებს კანის, ვენერიულის და სიფი ლისით ავადმყოფებს (914-ა და 6 შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დი ლის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპ № 116, სასტუმრო „ნორდ"
ტელეფონი 14-28.